პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვონცებით.

დღიური

ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო მრავალი დეპეშა მოდის პროვინციიდან.

— ინგლისში შედგა „მუშათა მთავრობა“ რამზეი მაკდონალდის თავმჯდომარეობით.

— მიუხედავად სოციალ-დემოკრატიული პროფკავშირების გამყიდველობისა, გერმანიის პროლეტარიატი განაგრძობს ბრძოლას რვა საათის სამუშაო დღისათვის.

№ 19 (871) ხუთშაბათი, 24 იანვარი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 19 (871)

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და ტფილისის კომიტეტი აუწყებენ ყველა მუშებს, გლეხებს და მშრომელებს, რომ 1924 წ. 21 იანვარს, საღამოს 6 საათ. 50 წ., გორკაში (მოსკოვის მახლობლათ) გარდაიცვალა **საერთაშორისო პროლეტარიატის უდიდესი ბელადი, ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი და ხელმძღვანელი**

ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ-ლენინი

დაკრძალვის და სამგლოვიარო დემონსტრაციის შესახებ გამოცხადებული იქნება ცალკე. 6—1

საქ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭო ამით აუწყებს საქართველოს ყველა მუშასა და მოსამსახურეს, რომ 21 იანვარს, საღამოს 6 საათსა და 50 წუთზე სასუნთქავი ცენტრის სიდამბლისაგან გარდაიცვალა ძვირფასი მასწავლებელი და ბელადი

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი

დაკრძალვის დღეს ყველგან მოეწყობა სამგლოვიარო მსვლელობა-პროცესები, რომლის შესახებაც ცალკე იქნება გამოცხადებული.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო.

რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მოწოდება

პარტიისა და მშრომელებისადმი

მოსკოვი. 23 იანვარი. 21 იანვარს დაასრულა თავისი ცხოვრების გზა ამხ. ლენინმა. გარდაიცვალა ადამიანი, რომელმაც დააარსა ჩვენი ფოლადისებური პარტია, რომელიც აშენებდა მას მთელი წლობით, რომელსაც მიჰყავდა იგი ცარიზმის თავდასხმების ქვეშ, ასწავლიდა და აკაჟებდა მას გააფთრებულ ბრძოლაში მუშათა კლასის გამცემლების, ორჭოფების და მერყევების წინააღმდეგ.

მოკვდა ადამიანი, რომლის ხელმძღვანელობითაც ბოლშევიკების შეურყეველი რიგები იბრძოდენ 1905 წელს, უკან იხევდენ რეაქციის დროს, ხელახლა უტევდენ და იდგენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შემბრძოლთა პირველ რიგებში, შესძლეს მენშევიკების და ესერების იდეური ბატონობის განადგურება, გამომჟღავნება და დამხობა.

მოკვდა ადამიანი, რომლის მებრძოლ წინააღმდეგობით ჩვენმა პარტიამ, რომელიც იყო გახვეული ტყვია-წამლის კვამლში, ძლევამოსილ ხელით აღმართა ოქტომბრის წითელი დროშა მთელ ქვეყანაში, გაანადგურა მტრების წინააღმდეგობა და დაამკვიდრა ყოფილ მეფის რუსეთში მშრომელთა ბატონობა.

მოკვდა კომინტერნის დამაარსებელი და მსოფლიო კომუნიზმის წინამძღოლი, საერთაშორისო პროლეტარიატის სიყვარული და სიამაყე, ჩაგრულ აღმოსავლეთის დროშა, დიქტატურის მეთაური რუსეთში.

არასოდეს მარქსის შემდეგ პროლეტარიატის დიად განმათავისუფლებელ ისტორიას არ [illegible] ისეთი ბუმბერაზი ფიგურა, როგორც ჩვენი განსვენებული ბელადი, მასწავლებელი და მეგობარი. ყველაფერი ის, რაც არის პროლეტარიატში ჭეშმარიტად დიადი და გმირული—უშიშარი გონება. რკინის, შეუდრეკელი, მტკიცე, ყველაფრის მძლეველი ნებისყოფა, სამღვთო სიძულვილი, სიძულვილი სიკვდილამდე მონობისა და ჩაგვრისადმი, რევოლუციონური აღტყინება, რომელიც მთებს ამოძრავებს, უსაზღვრო რწმენა მასების შემოქმედებით ძალებისა, უდიდესი ორგანიზაციული გენია—ყველაფერმა ამან დიდებული გამოხატულება ჰპოვა ლენინში, რომლის სახელი გახდა სიმბოლო ახალი მსოფლიოსი დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე, სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე.

ლენინს ჰქონდა უნარი დაენახა დიდი და პატარა, ეწინასწარმეტყველებია დიდი ისტორიული გარდატეხანი—და ამავე დროს მხედველობაში მიეღო და გამოეყენებია ყოველი წვრილმანი. მას ჰქონდა უნარი, როცა ეს საჭირო იყო, გააფთრებულად თავს დასხმოდა მტერს და როცა საჭირო იყო—უკან დაეხია, რათა მოემზადებია ახალი შეტევა. მისთვის არ არსებობდა არავითარი გაყინული ფორმულა, არავითარი ბუნდოვანება არ არსებობდა მის ბრძნულ, ყველაფრის მხედველ თვალებში. ვინაიდან ის იყო პროლეტარულ არმიის თანდაყოლილი წინამძღოლი, მუშათა კლასის გენიოსი.

მარქსის საგანძურს ამხ. ლენინმა ბევრი რამ ძვირფასი შემატა. სწორეთ მას უნდა უმადლოდეს მუშათა კლასი პროლეტარულ დიქტატურის, მუშების და გლეხების შორის კავშირის, მებრძოლ პროლეტარიატისათვის ეროვნულ და კოლონიალურ საკითხების მნიშვნელობის გარკვევას და ბოლოს მის მოძღვრებას პარტიის როლის და ბუნების შესახებ. ყველაფერი ეს სიმდიდრე ლენინის ხელში იყო არა როგორც მკვდარი კაპიტალი, არამედ ხორცშესხმული შეუდარებელი პრაქტიკით. „რევოლუციის კეთება გაცილებით უფრო სასიამოვნოა, ვიდრე წერა მასზეო“ არა ერთხელ უთქვამს ვლადიმირ ილიჩს. და მთელი თავისი სიცოცხლე—მის შეგნებულ დასაწყისიდან უკანასკნელ განაწამებ ამოსუნთქვამდე—ამხ. ლენინმა შესწირა მუშათა კლასს.

არ ყოფილა და არც არის ადამიანი, რომელიც ასე ყოფილიყოს ერთგული თავის საქმისადმი, როგორც ლენინი, რომელმაც თავის უმშვენიერეს ცხოვრებაში არ იცოდა არაფერი, გარდა პარტიის, პროლეტარიატის და კომუნისტურ რევოლუციის ინტერესებისა.

არ ყოფილა და არც არის ადამიანი რომელსაც ასე ღრმად ეგრძნო თავისი პასუხისმგებლობა, როგორც მას.

ზეადამიანურმა, მუშაობის თავშეუკავებელმა წყურვილმა, დაუღალავმა აზროვნებამ და თავისი ენერგიის დაუზოგავად დახარჯვამ გასტეხეს ეს ბუმბერაზი ორგანიზმი და სამუდამოდ ჩააქვრეს ყველაზე უსაყვარლესი—ჩვენი ილიჩის სიცოცხლე. მაგრამ ეს ფიზიკური სიკვდილი არ არის მისი საქმის სიკვდილი. ლენინი ცოცხლობს ჩვენი პარტიის ყოველი წევრის სულში. ჩვენი პარტიის ყოველი წევრი არის ლენინის ნაწილაკი. მთელი ჩვენი კომუნისტური ოჯახი არის ლენინის კოლექტიური გამოსახულება. ლენინი ცოცხლობს ყოველ პატიოსან მუშის გულში. ლენინი ცოცხლობს ყოველ გლეხის—ღარიბ-ღატაკის გულში. ლენინი ცოცხლობს კოლონიების მრავალმილიონიან მონების შორის. ლენინი ცოცხლობს კომუნიზმის და ბოლშევიზმისადმი სიძულვილში—ჩვენი მტრების ბანაკში.

ეხლა, როცა ჩვენ პარტიას თავს დაატყდა ყველაზე მძიმე უბედურება—ილიჩის სიკვდილი, ჩვენ განსაკუთრებული სიმტკიცით უნდა შევასრულოთ მისი მთავარი ალთქმანი. არასოდეს ლენინი არ ყოფილა ისეთი დიდი, როგორც საშიშროების წუთებში. მაგარი ხელით გაჰყავდა პარტია ამ საფრთხეთა რიგებიდან, შეუდარებელი სიდინჯით და მამაცობით მიდიოდა რა ის თავის მიზნისაკენ. არაფერი არ ეჯავრებოდა და ეზიზღებოდა ლენინს, როგორც პანიკური აურზაური, შეშფოთება და მერყეობა. პარტია აქაც მის გაკვალულ გზას გაჰყვება.

ის ჩამოგვშორდა ჩვენ საუკუნოთ, ჩვენი შეუდარებელი მებრძოლი ამხანაგი. [illegible] უშიშრად წავალთ წინ... დიახ, ანთხიონ ბოღმა ჩვენმა მტრებმა ჩვენი დახაკვის [illegible] უბედურები, საწყლები! იმათ არ იციან, რას წარმოადგენს ჩვენი პარტია. იმათ იმედი აქვთ იმისი, რომ პარტია დაინგრევა. პარტია კი რკინის ნაბიჯებით წავა წინ. იმიტომ, რომ იგი არის ლენინის პარტია. იმიტომ, რომ იგი აღზრდილია და გამობრძმედილი ბრძოლებში. იმიტომ, რომ მას ხელთ აქვს ის ალთქმა, რომელიც დაუტოვა მას ამხ. ლენინმა.

მემამულეების და კაპიტალისტების მსოფლიოს კავშირის წინააღმდეგ ჩვენ ავაშენებთ მუშების და გლეხების კავშირს, ჩაგრულ ერების კავშირს. ჩვენ მაგრად ვდგევართ მიწაზე. ევროპის ნანგრევებში ჩვენ ვართ ერთად-ერთი ქვეყანა, რომელიც მუშათა ხელისუფლების ქვეშ ღონიერდება და გაბედულად შეჰყურებს თავის მომავალს.

ჩვენი სახელოვანი დროშის გარშემო თავს იყრიან მილიონები. ჩვენი მასწავლებლის სიკვდილი—ეს უდიდესი უბედურება—კიდევ უფრო ძლიერად შეაკავშირებს ჩვენს რიგებს. ერთსულოვანი ბრძოლის რიგებით ჩვენ მივდივართ კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად, და ვერავითარი ძალები მსოფლიოში ხელს ვერ შეუშლიან ჩვენს საბოლოო გამარჯვებას. ეს გამარჯვება იქნება ყველაზე უკეთესი ძეგლი ამხ. ლენინისა,—იმისათვის, რომელსაც, როგორც საუკეთესო მეგობარს, მასები უწოდებდენ თავის „ილიჩს“.

გაუმარჯოს და იცოცხლოს ჩვენმა პარტიამ! გაუმარჯოს მუშათა კლასს“!

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

მოსკოვი, 1924 წ, 22 იანვარი.



ვ. ი. ლენინი

ლენინი

„სუბიექტივისტები“, ყველა ჯურის იდეალისტები ამტყუნებენ მარქსიზმს იმაში, ვითომდა ეს უკანასკნელი თითქმის არავითარ როლს არ აკუთვნებდეს პიროვნებას საზოგადოების ისტორიულ ცხოვრების მიმდინარეობაში.

ასეთი შეხედულება დიდ სისულელეს შეიცავს და დამახინჯებაა მარქსისტული ისტორიოსოფიის.

ისტორია ადამიანების „შემოქმედებაა“, შემოქმედება, რომელიც ხდება განსაზღვრულ პირობებში, და პირველ ყოვლისა განსაზღვრულ საწარმოო ურთიერთობათა პირობებში. საზოგადოების, მისი შემადგენელი კლასების მოქმედება სწორედ ამ პირობებისაგანაა დამოკიდებული.

ამით გარკვეული ადგილი ენიჭება პიროვნებას ისტორიულ პროცესში. ის არ არის ყოვლის შემძლე და მამოძრავებელი პირველი მიზეზი ისტორიის. ის არ არის „მსოფლიო სულის“ და სხვა ასეთი აბდა-უბდის მატარებელი, რომელიც, დამოუკიდებლად მატერიალურ ბაზისა, ისახავდეს მიზნებს, იდეალებს და ამის მიხედვით წარმართავდეს სოციალური განვითარების გზას.

თვით ეს მიზნები, იდეალები აღმოცენებულია ნივთიერ ნიადაგზე, ნაკარნახევია ამა თუ იმ კლასის ინტერესებით.

პიროვნების, უწინარეს ყოვლისა „დიდი“ პიროვნების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შეიგნოს ისტორიული განვითარების ობიექტიური მიმართულება, ცნობიერი გახადოს ის ხალხისათვის, გაითვალისწინოს გზები და საშუალებები, რომელნიც დააჩქარებენ ობიექტიურ პროცესს, შეუფარდებენ მას ჩვენს მოქმედებას და უფრო უმტკივნეულოდ, ნაკლები მსხვერპლის გაღებით მიგვაღწევინებენ იმ მიზნისათვის, რომელსაც ესწრაფვის ესა თუ ის კლასი თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით.

მარქსი პიროვნების როლს ისტორიაში ბებიას როლს ადარებდა ბავშვის მშობიარობის დროს.

არამარქსისტული ბანაკიდან ბევრს ეს შედარება ძალიან ვულგარულად ესმის. გამოყავთ დასკვნა, რომ მარქსიზმს პიროვნების მნიშვნელობა ისტორიულ ვითარებაში თითქო ნულამდე, არარაობამდე დაჰყავდეს.

მაგრამ ეს შედარება, გადმოტანილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჰპოულობს თავის ნამდვილ, უაღრეს შინაარსს.

საზოგადოება ურთულესი სოციალური ფაქტია. აქ მომქმედ მატერიალურ და ცოცხალ ძალების და [illegible] შეფასება, საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესის განჭვრეტას, უტყუარი და ნათელი პერსპექტივების წარმოდგენას, მოქმედების შესაფერ მეთოდების და ორგანიზაციული ფორმების გამორკვევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ამ სფეროში გენიალურ პიროვნებას უფართოესი გასაქანი ეძლევა. მას შეუძლია ნამდვილი ბებიის როლი შეასრულოს ისტორიულ მოვლენების „მშობიარობაში“.

ლენინი უდიდესი, შეუდარებელი „ბებიაა“ ისტორიის, ისეთი, როგორიც კაცობრიობას არ ახსოვს.

ლენინს მოუხდა მოღვაწეობა ორ ეპოქის მიჯნაზე.

კაპიტალიზმის განვითარების მწვერვალი და შემდეგ მისი დეკადანსი—ერთი მხრით, სოციალისტური რევოლუციის დასაწყისი—მეორე მხრით.

ლენინი იყო საუკეთესო მცოდნე საზოგადოდ კაცობრიობის ისტორიის, კერძოდ ხსენებული ეპოქების. ის, ასე ვსთქვათ, ფიზიკურად განიცდიდა ძველი სამყაროს მოახლოებულ დაღუპვის აუცილებლობას და ასევე გრძნობდა შრომის სუფევის დამყარების აუცილებლობას.

საზოგადოებრივ ცხოვრების ანალიზის, მისი მომავალის განჭვრეტის საშუალება მას მისცა მარქსიზმმა.

ლენინი იყო უდიდესი მარქსისტი მარქსის შემდეგ. მან ხელმეორედ აღმოაჩინა რევოლუციონური მარქსიზმი, სწორედ აღმოაჩინა, მიტომ რომ ის დამარხეს, გადაამახინჯეს მარქსის უშუალო მოწაფეებმა, ოპორტუნისტებმა, რევიზიონისტებმა.

რევოლუციონური მარქსიზმი ეს ისეთი ბასრი იარაღი იყო ლენინის ხელში, რომელიც გზას უკაფავდა მას სოციალურ სინამდვილის ბნელ და რთულ ლაბირინტში, ისეთი იარაღი, რომლითაც ის აშიშვლებდა საზოგადოებრივ ძალების და პირების ნამდვილ კლასობრივ სარჩულს და ამსხვრევდა ყველა მოწინააღმდეგეს, რომელიც შეეცდებოდა, ხშირად მარქსიზმის ნიღაბითაც, მუშათა კლასისათვის გზის დაბნევას.

ლენინი იყო ისეთი ადამიანი, რომელიც ისე შეუდარებლად იყენებდა მარქსიზმის მახვილ იარაღს, როგორც სხვა არავინ.

ბოლომდე დაცვა რევოლუციონურ მარქსიზმისა ყოველგვარ შებღალვისაგან—ეს ერთ-ერთი უდიდესი დამსახურებაა ლენინის მსოფლიო მუშათა კლასის წინაშე.

ლენინი არ ყოფილა მარქსიზმის თეორეტიკოსი, ამ სიტყვის კაბინეტური აზრით.

კაცობრიობამ არ იცის მეორე სხვა პიროვნება, რომელსაც შეეხავებიოს ერთმანეთთან თეორია და პრაქტიკა, როგორც ლენინს. თეორია მისთვის საშუალება იყო რევოლუციონურ მოქმედებისათვის. ლენინი არ იყო უსულო მწიგნობარი, არამედ მარქსიზმის ცოცხალი, რევოლუციონური სულის მატარებელი. ლენინიზმი—ეს მარქსიზმია მოქმედებაში.

და არავის ახსოვს ისეთი მოქმედი პიროვნება, როგორც ლენინი. ის იყო განხორციელებული ნებისყოფა და ენერგია. რუსი მშრომელი ხალხის, და განა მარტო მისი, მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის მთელიმარე პოტენციამ იხეთქა მასში ვულკანისებურად, გეოლოგიური სიძლიერით.

მას არ სჩვეოდა ინტელიგენტური მერყეობა, გაორება. ჰამლეტიზმის ნიშანწყალიც არ სჩანდა მის ბუნებაში, არც თეორიაში, არც პრაქტიკაში.

ის იყო მთლიანი, ერთი ნაჭერთიდან გამოჭრილი არსება.

რა თქ[illegible] არ ნიშნავდა ლენინის აზრის [illegible] უმოძრაობას. პირიქით, მისი დიალექტიური გონება განუწყვეტლად მუშაობდა და იძლეოდა მოვლენათა შეუდარებელ ანალიზს და პროგნოზს.

ასეთი მთლიანი და ფოლადისებური ნებისყოფის მატარებელი სწორედ ზედგამოჭრილი იყო იმ ხანისათვის, როცა ლენინს წილად ხვდა მოღვაწეობა. ესაა, როგორც ვთქვით, ეპოქა პროლეტარულ რევოლუციის ძველ სამყაროსთან სამკვდრო-სასიცოცხლო შებმის.

აქ საჭირო იყო როგორც უსაშინელესი დამანგრეველი სტიქია, ისე უდიდესი შემოქმედებითი გაქანება, აღმშენებლობითი უნარი.

ორივე ეს თვისება ლენინს გააჩნდა ისეთი სიუხვით, როგორც არავის.

ის შეუბრალებლად ლეწდა დრომოჭმულ წარსულის ნაშთებს, ისე, როგორც ეს დამახასიათებელია ახალი ცხოვრების გენიალური შემოქმედისათვის.

აქ ის შორს იყო ყოველგვარ სენტიმენტალობიდან, მეშჩანური კაცთმოყვარეობისა და შებრალებიდან. მას ამოქმედებდა უაღრესი სიძულვილი მუშათა კლასის გაუსწორებელი მტრების მიმართ და ასეთივე სიყვარული მშრომელ მასების საქმისადმი, რევოლუციისადმი.

რევოლუციის გამარჯვება გამოსავალი წერტილი და უმაღლესი კანონი იყო ყველა მის მოქმედებაში.

ამავე დროს როგორი საკვირველი აშენებელი იყო ის ახალი ქვეყნის.

მაგრამ აქ ის წარმოადგენდა არა უტოპისტს და ფანტაზიორს, რომელსაც ფეხიდან ეცლება ნიადაგი და ოცნების სამყაროში დანავარდობს, არამედ რეალურ პოლიტიკოსს, რომელიც თავის მოქმედებაში გამოდის არსებულ პირობების და საშუალებათა სწორი აღნუსხვიდან და ამასთან არასოდეს არ კარგავს მხედველობიდან შორეულ პერსპექტივებს და საბოლოო მიზნებს.

არსებულ მდგომარეობის, ძალების საშუალებათა შეფასებაში ის უსწრებდა ყველა თანამედროვეთ.

ამ მხრივ რად ღირს ლენინი, როგორც ავტორი ბრესტის ზავის, რომელმაც იხსნა რევოლუცია; როგორც ავტორი ახალი ეკონომიური პოლიტიკის, რომელმაც აგრეთვე იხსნა რევოლუცია, და მრავალი სხ.

ლენინი უბადლო იყო არა მარტო ყველა ზემოხსენებულის მხრით, არამედ სხვა მრავალ მხრითაც.

იგი იყო პირველ ყოვლისა არაჩვეულებრივი ორგანიზატორი. მისი პირმშო შვილია ისეთი ჯერ უნახავი ორგანიზაცია, როგორიცაა ჩვენი კომუნისტური პარტია და კომუნისტური ინტერნაციონალი,—ეს მუშათა კლასის მოწინავე რაზმი და მსოფლიო რევოლუციის მეზაირახტრე. ლენინის საორგანიზაციო პრინციპები ეს ხომ საყოველთაოდ ცნობილია, ცხოვრების მიერ მრავალჯერ გამოცდილი. ლენინის პრინციპებზე აგებულმა პარტიამ არგუნა მუშათა კლასს გამარჯვება.

მაგრამ ლენინი არ იყო, ორგანიზაციის, ასე ვსთქვათ, უსულო თეორეტიკოსი. ის იყო თვითონ სული, ნერვი, შემაერთებელი ცენტრი ორგანიზაციის.

ლენინი გადაბმული იყო უთვალავი ძაფებით არა მარტო თავის პარტიასთან, ის იყო მსოფლიოს ათეულ მილიონ მშრომელთა ზრახვების, იმედების მესაიდუმლე და მატარებელი. არავინ იცის ისეთი უშუალო სულიერი კავშირი ბელადისა მასასთან, როგორც ამას აქვს ადგილი ლენინის პიროვნებაში. მუშათა კლასიან ჰკრეფდა რა სასიცოცხლო ძალას, ის თავის მხრივ შთამაგონებელი იყო უკანასკნელის.

და აი, შეწყდა ასეთი ბუმბერაზის მაჯისცემა. ბრმა ბუნებამ ბოლოს ფიზიკურად დაამარცხა ის ადამიანი, რომლისგან ძრწოდა ძველი სამყარო, მსოფლიო ბურჟუაზია.

გლოვის ზარივით მოედება ეს ამბავი ყველა ქვეყნის მშრომელთ, განურჩევლად ეროვნებისა და რასისა. მიტომ, რომ ლენინი იყო უპირველესი ადამიანი, რომელიც ზევით იდგა ყოველგვარ ნაციონალურ სივიწროვისაგან და იბრძოდა მთელი მსოფლიო პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის.

მეორე მხრივ, ლენინის გარდაცვალება ბოროტ სიხარულს ჰგვრის ყველა იმათ, ვინც იბლაუჭება ჩაგვრისა და მონობის სამყაროს, ყველა იმათ, ვისაც ლენინი სამარეს უთხრიდა.

ეს სიხარული იქნება ერთი მხრით ქვენაგრძნობა შურისძიების, რომ ულმობელმა ბუნებამ მაინც მოსპო ის ადამიანი, რომელსაც მუშათა კლასის მძარცველებმა ვერაფერი დააკლეს.

მეორე მხრით, ეს იქნება სიხარული იმედის, ეგებ ლენინის სიკვდილით დაიშალოს მისი სიცოცხლის საქმე, დაირღვეს კომუნისტური პარტია, დაეცეს საბჭოთა ხელისუფლება და მუშათა კლასის მტრებს მიეცეთ საშუალება საბჭოთა კავშირში ძველი მდგომარეობის აღდგენის, ხოლო მთელ მსოფლიოში მომავალი რევოლუციის დასამარების.

ეს იმედი, რომელიც უეჭველად აღეძგრებათ მათ, ისევე დაამსხვრევა, როგორც მათი სხვა ბევრი უსაფუძვლო იმედები დამსხვრეულა.

ლენინი ასეთი დიდი ფიგურა არ იქნებოდა, რომ მის მიერ გაკეთებული საქმე მკვიდრ ღუღაზე არ იყოს აგებული, რომ შესაძლებელი იყოს ამ საქმის ჩაფუშვა ლენინის გარდაცვალებით.

ის იყო წარმომადგენელი უძლიერესი თვითმოქმედი კოლექტივის, რომელიც წარმოუდგენლად გაიზარდა ყოველმხრივ.

ეს კოლექტივი — კომუნისტური პარტია და მისი მიმყოლი მთელი მუშათა კლასი—შესძლებს იმ გზით სიარულს, რომლითაც ის მიჰყავდა ლენინს.

და განა ეს არ დაამტკიცა ახლახან დასრულებულმა პარტიულმა კონფერენციამ, რომელმაც, პარტიაში წარმოებულ ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, იშვიათი ერთსულოვნება გამოიჩინა ყველა საკითხების გადაჭრაში.

ლენინის საფლავთან პარტია უფრო მჭიდროდ შეკრავს თავის რიგებს და ფიცს დასდებს, რომ პირნათლად შეასრულებს თავის ბელადის ანდერძს.

დავკარგეთ ბელადი

მოკვდა ლენინი.

დაობლდა რუსეთის მუშათა კლასი. მსოფლიო პროლეტარიატმა დაჰკარგა გამოცდილი ბელადი, რომელმაც შეარყია კაპიტალისტური ქვეყანა და საფუძველი ჩაუყარა ახალ ცხოვრებას, მუშათა კლასის ძალაუფლებას.

მე-20 საუკუნეს არ ჰყოლია ლენინზე უფრო ძლიერი პიროვნება. ის ერთადერთი ადამიანი იყო, რომლის სიტყვას ყურს უგდებდა მთელი კაცობრიობა, რომლის მოქმედებას თვალს ადევნებდა ყველა მოაზროვნე ადამიანი.

ამხ. ლენინს დიდიდან პატარამდე [illegible]რობდა, თუმცა ბევრს თვალითაც არ უნახავს [illegible] გაბრწყინვებული სახე.

ლენინის სურათები მილიონობით ვრცელდებოდა ხალხში. ბევრი ხელოვანი მხატვარი შეეცადა მისი ნამდვილ სახის ტილოზე გადატანას, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შესძლო ლენინის სახის სისწორით გადმოცემა... ყოველ შემთხვევაში ეს სურათები სრულიად არ წააგავდა იმ ხელთუქმნელ სურათს, რომელიც მშრომელმა ხალხმა შეუქმნა თავის სახელოვან ბელადს და რომელ სურათსაც ეს მშრომელი ხალხი მუდამ ატარებდა და მომავალშიაც ატარებს თავის სულის სიღრმეში.

დიდხანს ებრძოდა ამხ. ლენინი სიკვდილს.

მთელი მუშათა კლასი გულისწუხილით თვალყურს ადევნებდა ამ უთანასწორო ბრძოლას და იმედს არ ჰკარგავდა, რომ პროლეტარიატის ბელადი ამ ბრძოლიდანაც ჩვეულებრივად გამარჯვებული გამოვიდოდა, რომ ის დასთრგუნვიდა სიკვდილს.

მთელი რუსეთი და ყველა საბჭოთა რესპუბლიკები გულის ფანცქალით მოელოდენ ლენინის განკურნებას, მის რევოლუციონურ შტაბში დაბრუნებას.

მაგრამ მოხდა სულ წინააღმდეგი. დღეს ლენინი უკვე აღარ არის. დადუმდა სამუდამოდ მისი მეტყველი ენა. შეჩერდა მისი აზროვნება.

ჩაესვენა მზე, რომელიც ასე ბრწყინვალედ უნათებდა გამარჯვების გზაზე დამდგარ მსოფლიო პროლეტარიატს.

ის ვეღარ მოესწრო მსოფლიო პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებას, რომლის ხელმძღვანელად და ბელადად ლენინი იყო მოწოდებული, რომელსაც მან შესწირა მთელი თავისი ძალ ღონე, ნიჭი და გამოცდილება.

ლენინის სიკვდილით პროლეტარიატმა დაჰკარგა უბადლო ბელადი, შეუდარებელი გმირი, მუშათა საქმისათვის თავდადებული მებრძოლი.

მაგრამ ლენინის დაწყებული საქმე მაინც გაიმარჯვებს, მუშათა კლასი დაამსხვრევს კაპიტალისტურ [illegible]ლებას.

ამის თავდებია ის სიყვარული და უსაზღვრო პატივისცემა, რომელიც ამხ. ლენინმა სამართლიანად დაიმსახურა მუშათა კლასის წინაშე.

ამის თავდებია ის გამოცდილება, რომელიც რუსეთის მუშათა კლასმა მიიღო განვლილ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით.

ლენინი აღარ არის. ის მოკვდა, მაგრამ უკვდავია მისი სახელი, უკვდავია მისი განვლილი შრომა მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

ლენინი ვეღარ უწინამძღვრებს უშუალოდ აჯანყებულ პროლეტარიატს, ვერ წაუძღვება მას წინ კაპიტალიზმის უკანასკნელ სიმაგრეების ასაღებად. მაგრამ მისი სახელი, მისი აჩრდილი განუშორებლად თან წაჰყვება ბრძოლაში ჩაბმულ შრომის არმიას და გამარჯვებას მიანიჭებს მას.

მოკვდა ლენინი!

გაუმარჯოს ლენინს!

ე. ტოროტაძე.

კომინტერნის ყველა სექციებს

მოსკოვი, 23 იანვარი. კომინტერნის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ზინოვიევმა დაუგზავნა კომინტერნის ყველა სექციებს შემდეგი დეპეშა:

„21 იანვარს, საღამოს 6 საათზე და 50 წუთზე ამხ. ლენინი უეცრად გარდაიცვალა სასუნთქავ ცენტრის სიდამბლის გამო. დაკრძალვა მოხდება შაბათს 26 იანვარს.

კომინტერნმა დაჰკარგა საუკეთესო თავისი ბელადი და მასწავლებელი. საერთაშორისო პროლეტარიატმა მარქსის შემდეგ დაჰკარგა უდიდესი განძი. მოიდრიკეთ თავები მუშათა კლასის დიდ მასწავლებლის გაუციებელ საფლავის წინაშე.

საერთაშორისო პროლეტარიატმა იცის, ვინ დაჰკარგა მან ლენინის სახით. კომინტერნის აღმასკომი მოგიწოდებთ თქვენ შეამჭიდროოთ რიგები ლენინის მიერ ნაანდერძევ მუშაობის გასაგრძელებლად.

კომინტერნის აღმასკომის თავმჯდომარე ზინოვიევი.

მოსკოვი, 1924 წ. 22 იანვარი. დილის 4 საათი.

ცირკულიარულად

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ტფილისის ორგანიზაციის ყველა რაიკომებს

1. ს. კ. პ. (ბ.) ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტთან მოეწყო ცენტრალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: ლოლობერიძე, რუბენი, ყურულაშვილი.

კომისიის ყველა დადგენილებები და განკარგულებები სავალდებულოა ყველა ორგანიზაციებისათვის, წარმოებებისათვის და დაწესებულებებისათვის.

2. წარმოებები და დაწესებულებები ნორმალურად მუშაობენ დემონსტრაციამდი. რაიკომების ყველა მუშაკებს წინადადება ეძლევათ იყონ თავიანთ ადგილებზე და მოაწყონ მუდმივი მორიგეობა რაიკომებში.

3. უნდა მოეწყოს გლეხების კრებები და ეცნობოს მათ ლენინის გარდაცვალება.

მოხსენებები შემდეგი ხასიათის უნდა იყოს:

1) კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება განაგრძობენ ლენინის ხაზს და მთავარი საკითხია—მუშებისა და გლეხების კავშირი.

2) საჭიროა ყველა გლეხების შემოკრება კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო.

3) ჩვენ მომავალშიც ვიქნებით მტკიცე და შევასრულებთ ლენინის ყველა ანდერძს.

5. დემონსტრაციის ჩასატარებლად შედგენილია სპეციალური ქვეკომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ლოლობერიძე, 2. რუბენ, 3 აბაშიძე, 4. ხმალაძე, 5. სუტირინი, 6. ჭელიძე (საქ. პროფ. კავშ. საბჭო). თავის მხრივ თვითეულმა რაიკომმა უნდა შეადგინოს თავისი კომისია 3 ამხანაგის შემადგენლობით და რაიკომის მდივნების თავმჯდომარეობით.

5. სამგლოვიარო დროშა იქნება წითელი შავი არშიით (კიდეები).

6. დემონსტრაციის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. დემონსტრაციის დღისათვის მიზიდულ იქნას რაც შეიძლება მეტი გლეხები ახლო მდებარე სოფლებიდან.

ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მუშები ჩამოყვანილი უნდა იქნან დემონსტრაციის დღისათვის.

7. ამ ცირკულიარის მიღება დაუყოვნებლივ დაგვიდასტურეთ.

ტფილისის კომიტეტის მდივანი
რუბენი.

რუსეთის ახკომკავშირის ცეკას მოწოდება

მოსკოვი. 23 იანვარი. 21 იანვარს გარდაიცვალა ვლადიმერ ილიჩი. მთელი ქვეყნის დაჩაგრულთა და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ბედზე ზრუნვისა და განუწყვეტელ შრომის გიგანტიურ სიმძიმის ქვეშ გარდაიცვალა პროლეტარიატის დიდებული ბელადი და მასწავლებელი. აღარ არის ის კაცი, რომლისკენაც იყო მიპყრობილი პროლეტარიატის მეგობართა და მტერთა თვალები, რომლის თვითეული სიტყვით ბრძოლაში მიდიოდენ მუშათა საქმისათვის რუსეთის და დასავლეთ ევროპის ათეული მილიონი მუშები, მიყრუებულ და ბნელ სოფლების გლეხები და აღმოსავლეთის გაღატაკებული მშრომელები. აღარ არის მასწავლებელი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ზრდიდა და გამარჯვებისაკენ მიჰყავდა რუსეთის მუშათა კლასი. აღარ არის ის, ვინც ჩვენს თაობასაც, რომელიც ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ აღმოცენდა, ჩაუდო ხელში თავისი ნათელი აზრის, შეურყეველი ერთგულების მუშათა კლასისადმი და რევოლიუციისათვის თავდადების მჭრელი იარაღი. ეს ცნობა სიხარულს გამოიწვევს ჩვენი მოწინააღმდეგეების—საერთაშორისო ბურჟუაზიის ბანაკში. დიდი სევდით და მწუხარებით არის აღვსილი ასეულ მილიონ მშრომელთა და დაჩაგრულთა გულები. მაგრამ ამ მძიმე დღეებში ჩვენს რიგებში ადგილი არ აქვს სასოწარკვეთილებას.

ახალგაზრდა მუშებო! ილიჩმა მიიყვანა პროლეტარიატი ოქტომბრის გამარჯვებამდი. საბჭოთა სახელმწიფოში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ილიჩი, თქვენთვის გაიხსნა გზა ცოდნისა და ახალ ცხოვრების აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღებისაკენ. მუშათა ახალგაზრდობა უნდა გაერთიანდეს ახალგაზრდათა კომკავშირის გარშემო და მასთან ერთად უნდა იბრძოლოს და ისწავლოს. პროლეტარიატის ახალგაზრდა თაობა უნდა გახდეს ლენინელების თაობათ.

ახალგაზრდა გლეხებო! ილიჩისა და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გლეხობამ განდევნა მემამულეები და ჩამოართვა მათ მიწები. სამოქალაქო ომის მძიმე წლებში საბჭოთა სახელმწიფომ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ილიჩი, შესძლო დაეცვა გლეხების მიწები მემამულეების და მეფის გენერლების თავდასხმისაგან. მუშების და გლეხების განუყრელ კავშირის და ქალაქის და სოფლის განუწყვეტელ ურთიერთ დახმარების საშუალებით ილიჩმა წაიყვანა გლეხობა უკეთეს ცხოვრებისაკენ. მუშათა ახალგაზრდობასთან ერთად თქვენ გაგეხსნათ გზა ცოდნისა და კულტურისაკენ. მუშათა ახალგაზრდობასთან ერთად თქვენ უნდა დასძლიოთ უმეცრება და სიბნელე, გაერთიანდეთ კომკავშირის დროშის ქვეშ, განამტკიცოთ კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის და ამით ცხოვრებაში გაატაროთ ილიჩის საქმე.

კომკავშირელებო! ილიჩმა დაგვამყნა ჩვენ ცეცხლიანი სიძულვილი ძალადობისა და ჩაგვრის საზოგადოებისადმი და ჩაგვინერგა ჩვენ თავისი რკინის ნებისყოფა, რომელიც მიმართული იყო ამ საზოგადოების დანგრევისა და კომუნიზმის დამყარებისაკენ. ილიჩი გვასწავლიდა ჩვენ გამარჯვებისაკენ მიმართულ ეკლიან მიხვეულ გზებზე არასოდეს არ მიგვეცა თავი დაღლილობისა, რყევისა და სასოწარკვეთილებისათვის. ილიჩი აღარ არის. მაგრამ კომუნისტური პარტია, რომელიც დაეყრდნობა მუშების და გლეხების განუყრელ კავშირს და შეისისხლხორცებს ჩვენი წრიდან ახალგაზრდა ლენინელების ახალ და ახალ კადრებს, გააგრძელებს და დაამთავრებს მის უკვდავ საქმეს. მჭიდროთ გაერთიანდით ჩვენი პარტიის გარშემო შეუდრეკელ მუშაობით და სწავლით შევითვისოთ ძველ ბოლშევიკურ გვარდიის გამოცდილება! გამოვჭედოთ ჩვენს რიგებში ლენინელთა გამობრძმედილი ძლევამოსილი არმია!

რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი.

უკრაინის კომპარტიის ცეკას მოწოდება

ხარკოვი. 23 იანვარი. უკრაინის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და უკრაინის კომპარტიის ყველა წევრებს: „დღეს, 1-ლ საათზე მივიღეთ ცნობა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალების შესახებ. მეტათ მძიმეა ეს დანაკლისი საბჭოთა კავშირის მუშებისა, გლეხებისა და წითელარმიელებისათვის: მათ აღარ ჰყავთ ბელადი. მაგრამ კომუნისტები ფაბრიკებში და სოფლებში განაცხადებენ, რომ ლენინის ანდერძი შეურყეველი დარჩება კომუნისტურ პარტიისათვის. კომპარტია როგორც ერთი კაცი, კიდევ უფრო მჭიდროთ შემოიკრებს თავის რიგებს. კომუნისტური პარტია გახდება კიდევ უფრო მთლიანი და ძლიერი, ის სისწორით გაატარებს ლენინის იდეებს ძმური კავშირის შესახებ. მუშები და გლეხები კიდევ უფრო მჭიდროთ გაერთიანდებიან თავის ლენინისებურ კომუნისტურ პარტიის გარშემო.

აღარ არის ვლადიმერ ილიჩი, მაგრამ დარჩა მის მიერ შექმნილი პარტია. დარჩენ მისი მოწაფეები. ვლადიმერ ილიჩის მიერ დაწყებულ საქმეს პარტია მიიყვანს ბოლომდი და კიდევ უფრო მჭიდროთ და ძლიერათ გააერთიანებს თავის კომუნისტურ რიგებს და ისევე სიმტკიცით წაიყვანს წინ მუშების და გლეხების კავშირს, რომელიც შექმნილი იქნა ვლადიმერ ილიჩის იდეის თანახმათ და მისი ხელმძღვანელობით“.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

უკრაინის ცენტრალმასკომის მოწოდება

მოსკოვი. 23 იანვარი. სრულიად უკრაინის ცენტრალური აღმასკომი და სახალხო კომისართა საბჭო დიდის მწუხარებით აუწყებენ უკრაინის ყველა მუშებსა და გლეხებს მთელი ქვეყნის მშრომელ მასების დიდებულ ხელმძღვანელის—ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ-ლენინის უეცარი სიკვდილის შესახებ, რომელიც მოხდა 1924 წ. 21 იანვარს საღამოს 6 ს. 50 წ. გორკაში, მოსკოვის ახლოს, სასუნთქავ ცენტრის სიდამბლისაგან.

გარდაიცვალა ბელადი. აღარ არის მუშათა კლასის და გლეხობის გენიოსი, რომელმაც ნამგალისა და ჩაქუჩის დროშის ქვეშ შეაკავშირა ქალაქის პროლეტარიატი და სოფლის მასები. წავიდა ამ ქვეყნიდან ის, ვინც გამარჯვებაში და დამარცხებაში ურყევათ იდგა რევოლიუციონურ პოსტზე და ხელმძღვანელობდა მუშათა კლასის ბრძოლას, ვინც ციხეში და ქარბუქში გატარებით მიიყვანა მშრომელი მასები გამარჯვებამდი, ვინც კლასიურ ექსპლოატაციის და ეროვნულ ჩაგვრის ძაფებისაგან მოქსოვილი მეფის იმპერიის ნანგრევებზე ააშენა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი,—კავშირი თავისუფალ მუშების და გლეხების და სრულუფლებიან ერების. მოკვდა ბელადი, მაგრამ ცოცხალია მისი ხელით შექმნილი მრავალმილიონიანი მშრომელ მასების ნებისყოფა. უკრაინის მუშათა და გლეხთა მთავრობა მტკიცეთ გაატარებს ამხ. ლენინისაგან ნაანდერძევ პროლეტარიატის დიქტატურას და მუშათა კლასის დაკავშირებას გლეხთა მასებთან; მთავრობა მოუწოდებს უკრაინის მშრომელებს კიდევ უფრო მჭიდროთ გაერთიანდენ ბელადის საფლავზე.

სრულიად უკრაინის ცაკის თავმჯდომარის მაგიერი **ბუცენკო.**

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მაგიერი **ზატონსკი.**

რუსეთის საბჭოთა ყრილობის მოწოდება

საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებისადმი

მოსკოვი. 23 იანვარი. აღარ გვყავს ვლადიმერ ილიჩი ულიანოვ-ლენინი. პროლეტარიატის უდიდესმა ბელადმა, მისმა ძვირფასმა და უსაყვარლესმა მასწავლებელმა, რომელიც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში გზას უჩვენებდა მას და გადაუხრელად მიუძღვებოდა წინ პროლეტარულ რევოლიუციას,—საუკუნოდ დახუჭა თვალები. ჩვენს შორის აღარ არის უკვე ჩვენი შეუდარებელი ხელმძღვანელი, ასე დაახლოვებული თვითეულ მუშასთან და გლეხთან, ვლადიმერ ილიჩი.

მისი ავადმყოფობა იყო ხანგრძლივი და მძიმე, მაგრამ მისი სიკვდილი იყო უეცარი. მისი საშინელი სენი თანდათან სუსტდებოდა, ვფიქრობდით, რომ ის დაადგა განკურნების გზას. მისი ფიზიკური ძალები უმჯობესდებოდენ, ის იჩენდა შესანიშნავ ფიზიკურ სიმხნევეს. მაგრამ 21 იანვარს დღით მან თავი უფრო ცუდათ იგრძნო. გავიდა რამოდენიმე საათი, და სისხლის ჩაქცევამ ტვინში გადასწყვიტა ვლადიმერ ილიჩის ბედი... 6 საათზე და 50 წუთზე ის მშვიდათ გარდაიცვალა.

დასრულდა ყველა დროის უდიდესი რევოლიუციონურ მებრძოლის შედეგებით უმდიდრესი ცხოვრება. ისტორიას არ ახსოვს ამაზე უფრო ნაყოფიერი ცხოვრება. ოცდაათი წლის შრომით და ბრძოლით ვლადიმირ ილიჩმა გამოსჭედა პროლეტარული დიქტატურის შეუდარებელი იარაღი — კომუნისტური პარტია და მისი შემწეობით, როგორც გენიალურმა სარდალმა, წაიყვანა მშრომელთა არმია გამარჯვებისაკენ. ისტორიაში არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომელიც თავის მნიშვნელობით ედარებოდეს ჩვენს ოქტომბრის რევოლიუციას, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა მთელი კაცობრიობისათვის ახალ ერას—ძმობის და შრომის თავისუფალ საზოგადოებას. დიადმა ბელადმა, რომელმაც მოამზადა ოქტომბრის რევოლიუცია და შეარჩია ისტორიული მომენტი, მოუწოდა მშრომლებს ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისაკენ, რომელმაც ასწავლა პროლეტარიატს საკუთარი დიქტატურის განხორციელება, სასწაულებრივი და ხელოვნებით გაატარა მშრომელთა რესპუბლიკა უმაგალითო განსაცდელში, რომელიც ხელმძღვანელობდა საბჭოთა წესწყობილების თანდათანობით განვითარებას,—დასტოვა კაცობრიობის ბედში ყველაზე უფრო ღრმა კვალი, ვინემ სხვა რომელიმემ ისტორიაში.

ჩაგრულ და უუფლებაყრილ ეროვნებათა განთავისუფლება წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ იდეას ლენინის მოძღვრებაში. ხალხთა ძმური კავშირი და ყველა ქვეყნის და ერების პროლეტარების ამხანაგური თანამშრომლობა,—აი რას გვასწავლიდა ჩვენ ლენინი ეს იდეა დაედვა საფუძვლად ჩვენი რესპუბლიკების დიად კავშირს და მის კონსტიტუციას. ლენინის გარდაცვალება მოხდა იმ დროს, როდესაც საბოლოოდ იქნა გატარებული ცხოვრებაში საკავშირო კონსტიტუცია, უკანასკნელი კი ნიშნავს დიდ ნაბიჯს წინ საბჭოთა წესწყობილების გზაზე, მშრომელთა სახელმწიფოს შინაგანი შეკავშირების და საგარეო ძლიერების განმტკიცებას.

სრულიად საკავშირო [illegible] იმისათვის, რათა დაემთავრებია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ჩამოყალიბება. მუშათა და გლეხთა რესპუბლიკების მილიონი ფედერაცია სდგას მტკიცედ და შეურყევლად, როგორც მშრომელთა დაუძლეველი ციტადელი. საბჭოთა წესწყობილების განმტკიცებამ მოგვცა გიგანტიური წარმატებები. მისი სახელოვანი დროშის ქვეშ მჭიდროთ შეკავშირდენ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მასები, რომლებიც მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისათვის წარმოადგენენ ანთებულ ჩირაღდანს, ნიმუშსა და მაგალითს.

ვლადიმირ ილიჩის გენიალური ხელმძღვანელობით ყოფილი მეფის რუსეთის ჩაგრულმა მასებმა ისწავლეს თავისი ბედის ხელმძღვანელობა და საკუთარი დიდი სახელმწიფოს მმართველობა, ხოლო მთელი მსოფლიოს ჩაგრულმა კლასებმა და ერებმა დაინახეს მასში ბელადი და მასწავლებელი. მთელი კაპიტალისტური მსოფლიო ამაოდ ცდილობდა იარაღით ხელში საბჭოთა რესპუბლიკების, მუშების და გლეხების წინააღმდეგობის დაძლევას, ან მათ დამორჩილებას დამშევის და ბლოკადის გზით. უმაგალითო განსაცდელის და დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ იწყება საბჭოთა რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის აღორძინება, ნორმალურ კალაპოტში ჩადის მისი შინაგანი მმართველობა, უმჯობესდება მშრომელთა მდგომარეობა, მტკიცდება ეროვნებათა ძმური კავშირი, ვითარდება შრომის განთავისუფლების ახალი კულტურა.

საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო მდგომარეობა დღითი-დღე უფრო მტკიცდება და ძლიერდება. უძლიერეს მთავრობების მთელი რიგი აწარმოებს ან აპირებს მოლაპარაკებას ჩვენს კავშირთან მისი სრული იურიდიული ცნობის შესახებ. ის საქმე, რომელსაც ვლადიმერ ილიჩმა შესწირა თავისი სიცოცხლე, მტკიცე ნიადაგზე სდგას და არავითარ მტრულ ძალებს არ შეუძლიათ მისი შერყევა. ჩვენ კიდევ უნდა დავსძლიოთ სიღარიბე და სიღატაკე. ვლადიმერ ილიჩის აღთქმების შესრულებით, მისი ყოველის სიტყვის მოგონებით, მის მიერ ნაჩვენები გზის გადაუხვევლად, ჩვენ დავსძლევთ ყველა მტრებს, გადავლახავთ ყოველგვარ დაბრკოლებებს და გამოვალთ გამარჯვებული იმ ბრძოლიდან, რომელიც ჩვენ მოგველის.

უკვე წელიწადზე მეტია, რაც ვლადიმერ ილიჩს არ მიუღია უშუალო მონაწილეობა ჩვენს მუშაობაში და ჩვენი მტრები, რომლებიც წინდაწინ ზეიმობდენ გამარჯვებას და ოცნებობდენ, რომ მისი ხელმძღვანელობის გარეშე დაიღუპებოდა საბჭოთა წყობილება, დარწმუნდენ იმაში, რომ მათი იმედები ამაო იყო, მათ განზრახვებს ნიადაგი აღარ ჰქონდა. მშრომელი მასები, რომლებმაც საკუთარ ხელში აიღეს თავისივე ბედი, განაგრძობენ წინსვლას თავიანთ ძველ გზაზე მათი ძვირფასი მასწავლებლის და გენიალური ბელადის გარეშე. მათ შეგნებაში, მათ შეკავშირებაში, მათ ერთგულებაში მათთვის საუკუნოთ დაკარგულ მასწავლებლის აღთქმებისადმი,—არის საწინდარი მომავალი წარმატებისა და საბოლოო გამარჯვების.

შეუსუსტებელი ენერგიით და რკინისებური სიმტკიცით დეე, თვითეული ჩვენგანი განაგრძობს თავის მუშაობას. დეე, დაუვიწყარი ბელადის ხსოვნამ გაათკეცოს ჩვენი ძალები და გაგვიადვილოს ჩვენ სვლა სწორ რევოლიუციონურ გზაზე. ვლადიმერ ილიჩი აღარ არის, მაგრამ ის ცოცხლობს თვითეული მუშის, თვითეული გლეხის გულში.

ამ მძიმე მომენტში მთავარი, რასაც ჩვენ გვასწავლიდა ვლადიმერ ილიჩი, ეს არის მუშების და გლეხების განუყრელი კავშირის აუცილებლობა.

მთელი რევოლიუციის განმავლობაში ლენინმა გაატარა და დაიცვა ეს მთავარი [illegible] მისი ცხოვრების და მოძღვრების. სანამ მუშები და გლეხები ცალ-ცალკე მიდიოდენ, ბურჟუაზია და მემამულეები ურტყამდენ ორთავეს. მხოლოდ მუშათა კლასის და გლეხობის კავშირმა იმ პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც შექმნა ამხ. ლენინმა, უზრუნველჰყო გამარჯვება ხალხის მტარვალებზე. პირველად 1917 წელს დიადი ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ რუსეთის გლეხობამ [illegible] თავისი თავი თავისუფლად, დაამხო მემამულეების ბატონობა და განახორციელა [illegible] დიადი დანაწილება.

მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი განმტკიცებულ იქნა წითელარმიის მიერ, რომელმაც შესძლო გლეხობის მიწის და მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დაცვა. მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი უზრუნველყოფს აგრეთვე მომავალშიაც მშრომელთა სრულ გამარჯვებას. მთავარი ნაკაზი, რომელსაც აძლევს საბჭოთა მე 11-ე ყრილობა საბჭოთა მთავრობას, როდესაც ჩვენ აღარ გვყავს ვლადიმერ ილიჩი,—გამოიხატება შემდეგში: გაუფრთხილდეს, როგორც თვალის ჩინს, მუშათა და გლეხთა კავშირს, მთელი სახელმწიფოს პოლიტიკა აწარმოვოს ისე, რომ ეს კავშირი თანდათან უფრო ძლიერდებოდეს და მტკიცდებოდეს, არც ერთი ბეწვით არ გადაუხვიოს ლენინის პოლიტიკას მთელი ჩვენი ცხოვრების ამ ძირითად საკითხში.

ამ მძიმე დროს საბჭოთა რუსეთის საბჭოთა ყრილობა მოგმართავს თქვენ, მუშებო, გლეხებო, წითელარმიელებო და ყაზახებო მოწოდებით შეუსუსტებელი მთლიანობისა და შეკავშირებისაკენ ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშის ქვეშ. შეერთებული ძალღონით ჩვენ განვაგრძობთ ჩვენს მუშაობას და შევასრულებთ იმას, რაც გვიანდერძა ჩვენ ვლადიმერ ილიჩმა.

საუკუნო ხსოვნა მას, რომელსაც მიჰყავდა ყველა მშრომელები და ჩაგრულები გამარჯვებისაკენ! გაუმარჯოს მუშების და გლეხების კავშირს!

რუსეთის საბჭოთა მეთერთმეტე ყრილობის პრეზიდიუმი.

საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს ბრძანება

მოსკოვი. 23 იანვ. დღეს, 22 იანვარს საბჭოთა ქვეყანამ, საბჭოთა არმიამ და ფლოტმა უაღრესი მწუხარებით გაიგეს მსოფლიო კომუნიზმის ბელადის—ვლადიმერ ილიჩის ლენინის უეცარ გარდაცვალების შესახებ.

საერთაშორისო რევოლიუციამ დაჰკარგა თავის გენიალური ხელმძღვანელი, ხოლო საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების მასებმა თავისი საუკეთესო მეგობარი და დაუღალავი დამცველი, თავისი წინამძღოლი. ამ უმძიმეს დანაკარგის წინაშე საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო მიმართავს მთელ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და წითელ ფლოტს მოწოდებით კიდევ მეტი სიმტკიცით და შეურყევლობით იდგენ დიად ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა პირველ დამცველთა სადარაჯოზე.

ყველა წითელ არმიელებს, კომანდირებს, კომისრებს და სამხედრო მეზღვაურებს რევოლიუციონური სამხედრო საბჭო გიბრძანებთ დაიცვათ რევოლიუციონური დისციპლინა და რევოლიუციონური სიფხიზლე, აღამაღლოთ წითელი არმიის და წითელი ფლოტის ძლიერი სული. ილიჩის აღთქმათა ერთგული შემსრულებელი მუშათა და გლეხთა წითელი არმია და წითელი ფლოტი არის და იქნება საბჭოთა სახელმწიფოს ძლევამოსილების საყრდენობი და ყველა მის მრავალრიცხოვან მტრების თავზარდამცემი.

ბრძანება ესე წაკითხულ იქნას როტებში, ესკადრონებში, ბატარეებში, კომანდებში და მეზღვაურთა შორის. ბრძანება დაიგზავნოს ტელეგრაფით.

საბჭოთა კავშირის რევ. სამხ. საბჭოს თავმჯდ. მოადგილე—**სკლიანსკი.**
მთავარსარდალი—**კამენევი.**
რევ. სამხ. საბჭოს წევრი—**უნშლიხტი.**
პოლიტ. სამმართვ. უფროსი—**ბუბნოვი.**

1924 წ. 22 იანვარი, № 39.

რუსეთის ახკომკავშირის ცეკას პლენუმის დეპეშა რუსეთის კომპარტიის ცეკას

რუსეთის კომპარტიის ცეკას, ლენინის დიდებულ საქმის გამგრძელებს.

მოსკოვი. 23 იანვარი. რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკას პლენუმი მეტათ დაამწუხრა ჩვენი პარტიის, საერთაშორისო მუშათა კლასის და მთელი კაცობრიობის მძიმე დანაკლისმა. ჩვენ ვიცით, როგორ ძნელია თქვენთვის, ლენინის პირდაპირ მოწაფეებისა და მისი საქმის გამგრძელებლებისათვის, ამ დანაკლისის ატანა. ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ კოლექტიურ ნებისყოფით და მრავალმილიონ ლენინელების განუწყვეტელ შრომით შეიძლება აუნაზღაუროთ პარტიას მძიმე დანაკლისი. მხოლოდ ერთ საზრუნავ საგანს ისახავს ეხლა კომკავშირის ნახევარმილიონიანი მასა: გარდაქმნას მთელი თავისი კავშირი ლენინისებურათ და გამოიყვანოს ლენინიზმის გზაზე საბჭოთა კავშირის მთელი მუშური და გლეხური ახალგაზრდობა. პროლეტარიატის ყველა მეგობრების და მტრების წინაშე ჩვენ პირობას ვსდებთ, რომ შევსძლებთ რკინის რგოლათ შემოვკრებთ თქვენს—ჩვენი ბელადების გარშემო, რომელთაც მიგვყავართ ჩვენ გამარჯვებისაკენ. ლენინის საქმის გამგრძელებლებს შეუძლიათ იმედი იქონიონ კომკავშირელების სიმტკიცის და თავდადების. არასოდეს, ერთი წუთითაც არ დავივიწყებთ ჩვენ იმას, რასაც გვასწავლიდა ჩვენ ლენინი. ილიჩის გზით, თქვენის ხელმძღვანელობით ჩვენ წავიყვანთ გამარჯვებისაკენ მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას. ლენინი მოკვდა, მაგრამ ის ცოცხალი იქნება ახალ და ახალ თაობათა გულში და მათ მიერ შექმნილ საქმეში. ეს ახალი თაობა განუწყვეტელი ნაკადივით შევა ძლევამოსილ კომუნისტურ არმიაში. ლენინიზმის ძველ მებრძოლ დროშის ქვეშ, რომელიც ხელში უპყრავს ლენინის თანამებრძოლებს, მოემართებიან ქალაქის და სოფლის ახალგაზრდა პროლეტარების მილიონები და არ შეჩერდებიან იმ დრომდი, სანამ არ გაიმარჯვებენ.

რუს. ახკომკავშირის ცენტრალური კომიტეტი.

1924 წ. 22 იან.

რუსეთის ახკომკავშირის ცეკას პლენუმის დეპეშა ამხ. ლენინის ოჯახს

მოსკოვი. 23 იანვარი. ძვირფასო ამხანაგებო! რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკას პლენუმი რესპუბლიკების კავშირის მთელ მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის სახელით სამძიმარს გამოსთქვამს იმ ღრმა მწუხარების გამო, რომელიც თავს დაატყდა მთელი ქვეყნის მუშათა კლასს. ჩვენ ვიცით, როგორ ძნელია თქვენთვის, რომელნიც მხარი-მხარ მიდიოდით ამხ. ლენინთან ერთად ჩვენი პარტიის ეკლიან, მაგრამ სახელოვან გზაზე, ამ დანაკლისის ატანა. მაგრამ ჩვენ ვიცით ისიც, რომ საუკეთესო ნუგეში თქვენთვის იქნება შეგნება იმის, რომ ისინი, ვინც აქამდის მტკიცეთ იბრძოდენ ლენინის ხელმძღვანელობით, ერთი წუთითაც არ დაყრიან იარაღს მომავალშიაც. ჩვენ პირობას ვსდებთ, მიუხედავად მძიმე დანაკლისით გამოწვეულ სევდისა და მწუხარებისა, რომ ჩვენ დაუღალავი შრომით, მთელი ჩვენის გრძნობით, ენერგიით და მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ახალგაზრდული ძალებით ხელს შეუწყობთ ლენინიზმის საქმის გამარჯვებას.

რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი.

1924 წ. 22 იანვარი.

ლენინის გარდაცვალების გამო

ლენინის გასვენებაზე დასასწრები დელეგაცია

ამხანაგ ლენინის გასვენებაზე დასასწრებათ ტფილისის მუშებისაგან მოსკოვში გაიგზავნა დელეგაცია, რომელშიაც შედიან შემდეგი ამხანაგები:

1. **ლადო დუმბაძე,**
2. **სილვა თოდრია,**
3. **არაქელა ოქუაშვილი,**
4. **მიშა ჩოდრიშვილი,**
5. **[illegible]**
6. **ანდრო ფირცხალავა.**

[illegible] გაემგზავრება ჰაეროპლანით.

საქართველოში

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის მიერ სასწრაფო სხდომაზე ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო ა | წ. 23 იანვარს მიღებული რეზოლიუცია:

„საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სასწრაფო სხდომა, მოისმინა რა რუსეთისა და მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალების ცნობა, გამოსთქვამს თავის ულრმეს მწუხარებას აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო.

მსოფლიო პროლეტარიატს მოაკლდა გენიოსი ხელმძღვანელი, რომელიც განსაკუთრებით საჭირო იყო დღეს—მშრომელთა მონაპოვარზე კაპიტალის გააფთრებული თავდასხმის დროს.

საქართველოს მუშები გამოსთქვამენ ურყევ რწმენას, რომ მსოფლიო პროლეტარიატი, დიდებული ბელადის უკვდავი აღთქმის ერთგული დამცველი,—დაასრულებს მის მიერ დაწყებულ საქმეს—მუშათა კლასის განთავისუფლებას და მიაღწევს კომუნიზმის მსოფლიო გამარჯვებას!“

—

ა. | კ. რკინის გზაზე. ა. | კ. რკინის გზის სამმართველომ ტელეფონოგრამმა დაუგზავნა ყველა თავის ქვემდებარე დაწესებულებებს, რომ რკინისგზის ყველა სადგურები, ბაქნები და დასასვენებელი პუნქტები მორთან სამგლოვიარო ნიშნებით.

—

მუშაობა დაწესებულებებში სწარმოებს. საქ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ყველა წარმოება-დაწესებულებებში ამხ. ლენინის დაკრძალვის დღემდე მუშაობა იწარმოებს ჩვეულებრივად.

—

გარე-კახეთიდან. გარე-კახეთის აღმასკომი გამოსთქვამს თავის ულრმეს მწუხარებას მსოფლიო რევოლიუციის დიდი წინამძღოლის ამხანაგ ლენინის დაკარგვის გამო.

გარე-კახეთის აღმასკომი.

—

ბორჯომიდან. მივიღეთ რა ცნობა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ლენინის გარდაცვალების შესახებ, გამოვსთქვამთ ჩვენს ულრმეს მწუხარებას ჩვენი ძვირფასი ბელადის გარდაცვალების გამო. ვიძლევით სიტყვას, რომ ვიბრძოლებთ ამხ. ლენინის მიერ დაწყებულ საქმის საბოლოო გამარჯვებამდე.

საქ. კომპარტიის ბორჯომის რაიკომი.

—

სართიჭალიდან. სართიჭალის მუშათა კოოპერატივის მუშა-მოსამსახურენი ვიზიარებთ ღრმა მწუხარებას მსოფლიო რევოლიუციის დიდებულ ბელადის ამხანაგ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალების გამო და იმედს გამოვსთქვამთ, რომ ყველა მისი იდეალები ხორცშესხმულ იქნებიან მსოფლიო პროლეტარიატის მიერ.

სართიჭალის მუშათა კოოპერატივის მოსამსახურენი.

—

ალბულაღიდან. ჩვენ, ალბულაღის რაიონის მოქალაქენი, შევიკრიბეთ რა მიტინგზე, მივიღეთ სამწუხარო ცნობა ძვირფას ბელადის და მსოფლიო რევოლიუციის წინამძღოლის ილიჩის გარდაცვალების შესახებ. მიტინგი გამოსთქვამს ულრმეს მწუხარებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მუშების და გლეხების დამცველი კომუნისტური პარტია თავის მესაჭეს დაკარგვის შემდეგ საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანს რევოლიუციის საქმეს.

აზერბეიჯანში

ბაქო. 23 იანვარი. 23 იანვარს დილა ადრიანად ცნობა ამხ. ლენინის გარდაცვალების შესახებ მოედო ბაქოს ყველა მუშათა უბნებს და მთელი ქალაქის მოსახლეობამ გაიგო.

უდიდესი მწუხარების გრძნობამ შეიპყრო ყველა განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა.

ძნელია გადმოცემა მუშების სულიერი მდგომარეობის, რომლებმაც გაიგეს ძვირფასი ბელადის გარდაცვალება.

დღის თორმეტი საათისთვის ფაბრიკების, ქარხნების, წარმოებების და დაწესებულებების უმრავლესობაში, გლოვის ნიშნათ შეწყდა მუშაობა.

დაიხურა მაღაზიები, შეწყდა მეცადინეობა სკოლებში.

სახლებიდან გამოჰკიდეს სამგლოვიარო დროშები.

ყველა სანახაობანი გადაიდვა.

ყველა ფაბრიკებში ქარხნებში, წარმოებებში და რაიონებში გაიმართა მიტინგები.

24 იანვარს შესდგება ბაქოს საბჭოს სამგლოვიარო სხდომა აზცაკთან აზსახალხო კომისართა საბჭოსთან, აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოსთან, პროფკავშირების გამგეობებთან, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებთან და მუშათა სხვა ორგანიზაციებთან ერთად.

25 იანვრისათვის დანიშნულია ბაქოს კომიტეტის სამგლოვიარო სხდომა.

სახალხო კომისართა საბჭოს დეპეშა.

ბაქო. 23 იანვარი. აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭომ საბჭოთა კავშირის ცაკს და სახალხო კომისართა საბჭოს, საბჭოთა რუსეთის ცაკს და სახალხო კომისართა საბჭოს, რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტს და ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„მიიღო რა ცნობა მსოფლიო მასწავლებელის გარდაცვალების შესახებ, აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭო აზერბეიჯანის მშრომელთა სახელით ისწრაფვის გამოგიცხადოთ ღრმა თანაგრძნობა ვლადიმერ ილიჩ ლენინის უდროოდ გარდაცვალების გამო.

რესპუბლიკების კავშირი მტკიცედ გადაიტანს ამ უბედურებას და ილიჩის ანდერძის თანახმად მედგრად წავა იმ გზით, რომელიც გვიჩვენა განსვენებულმა — ყველა ქვეყნების მშრომელთა მიერ ძალაუფლების დაპყრობისაკენ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდ. **ბუნიატ-ზადე.**

უკრაინაში

ხარკოვი. 23 იანვარი. თავზარდამცემი ცნობა ვლადიმერ ილიჩის ლენინის გარდაცვალების შესახებ მეხივით თავს დაატყდა პროლეტარულ ხარკოვს. მოსკოვიდან მიღებული ცნობა, 9 იანვრის გლოვის დღის, როდესაც ყველა ფაბრიკები, ქარხნები და დაწესებულებები დახურული იყვნენ, ელვის სისწრაფით გავრცელდა ქალაქში და მთელი ხარკოვის მცხოვრებლები ქუჩაში გამოვიდენ. ერთი საათის შემდეგ ქალაქი წარმოადგენდა სამგლოვიარო პროცესიის ზღვას, რომელიც მიემართებოდა სრულიად უკრაინის ცაკის და კომპარტიის ცეკას შენობებისაკენ. სრულიად უკრაინის ცაკის თავზე ფრიალებს დიდი შავი დროშა. ყოველ წუთს სამგლოვიარო პროცესიას ემატებიან ახლო მდებარე სოფლებიდან ჩამოსული მუშები და გლეხები. სრულიად უკრაინის ცაკის მდივანის ბუცენკოს და მანუილსკის სიტყვებს აწყვეტინებს ხალხის გულიდან ამოხეთქილი გმინვა.

პროცესიაში გაისმის ქვითინი.

კომპარტიის ცეკას მდივანმა ამხ. ლებედმა, სიტყვის დასასრულში სთქვა: „ჩვენ არავის ნებას არ მივსცემთ გამოიყენოს ჩვენი უბედურება და შევამჭიდროებთ რიგებს. მთელი პარტია და პროლეტარიატი ჩვენთან ერთად იქნებიან. ერთხელ კიდევ ძვირფას, საყვარელ ილიჩის საფლავთან ფიცს ვსდებთ გავიმარჯვოთ“. ხალხი ქუდ-მოხდილი სდებს საზეიმო პროლეტარულ ფიცს. ორატორი-მუშები უბრალო სიტყვებით გამოსთქვამენ უზომო მწუხარებას, რომელმაც მთელი ხარკოვის პროლეტარიატი მოიცვა. მიღებულ იქნა დადგენილება შეწყვეტილ იქნას ხარკოვში ყველა სანახაობანი და გასართობები 5 დღით.

რუსეთის კომპარტიის ცეკას მოსკოვში

ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის და ბელადის ილიჩის გარდაცვალებით თავზარ-დაცემული ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის სტუდენტები და თანამშრომლები სდებენ აღთქმას მჭიდროთ შემოკრბენ თავიანთ ცეკას გარშემო. დეე, გახდეს ამიერიდან ჩვენი პარტია ერთიან კოლექტიურ ილიჩის კოლექტივად, რომელსაც მიჰყავს მსოფლიო პროლეტარიატი გამარჯვებისაკენ.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტები და თანამშრომლები.

—

ხარკოვის მუშების და წითელ არმიელების საერთო კრება.

ხარკოვი. 23 იანვარი. დღეს შესდგა კრება მუშების და წითელარმიელების, რომელნიც მეტათ დაამწუხრა საერთაშორისო პროლეტარიატის მძიმე დანაკლისმა. კრებამ სამძიმარის დეპეშა გაუგზავნა კომინტერნს, რუსეთის კომპარტიის ცეკას, საკავშირო მთავრობას და საბჭოების საკავშირო ყრილობას.

დეპეშაში ნათქვამია: „ფიცსა ვსდებთ, რომ შევასრულებთ ილიჩის ანდერძს და მივიყვანთ მის მიერ დაწყებულ საქმეს ბოლომდი.

ლენინი მოკვდა; გაუმარჯოს ლენინიზმს, გაუმარჯოს რუსეთის კომპარტიას“.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მუშებს, გლეხებს და ყველა მოქალაქეს

ამხანაგებო და მოქალაქენო! დეპეშამ მოიტანა სამწუხარო [illegible] იმის შესახებ, რომ 21 იანვარს ღამოს 6 საათზე და 50 წუთზე გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა ძალაუფლების სულის ჩამდგმელი და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ვლადიმერ ილიჩი (ულიანოვ) ლენინი.

არ არის ქვეყანაზე ისეთი კუთხე, სადაც არ იცნობენ ლენინის სახელს. მთელი ქვეყნის მშრომელთათვის ის იყო გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, საითკენაც მიქცეული იყო ყველა მშრომელთა თვალები და ისინი მიდიოდენ უშიშრად, რომ დაეპყროთ შრომის სამეფო.

მაგრამ საშინელმა ბედისწერამ გამოგვგლიჯა ის ფიზიკურად ჩვენი რიგებიდან, მაგრამ მის მიერ ნაანდერძევი იდეა ცოცხალია ჩვენს შორის და არ მოიძებნება არც ერთი მუშა და გლეხი, რომელიც არ ჩაებმება ბრძოლაში მისი ანდერძის განსახორციელებლად.

არ გვყავს ლენინი, მაგრამ დაგვრჩა ჩვენ მისი ანდერძი, რომელიც მოგვიწოდებს უფრო ერთსულოვნად ვიდრე ოდესმე შევკავშირდეთ, გადავიქცეთ ერთ ფოლადის ერთეულად და ფიცი დავსდოთ მისი ძვირფასი ცხედრის წინაშე, რომ [illegible] მასწავლებლის ყველა პრინც

მუშათა, გლეხთა და წითელ
ლთა საბჭოების სრულიად
თველოს ცენტრალური აღმა
ბელი კომიტეტი მოუწოდებს
მშრომელთ მტკიცედ გადა
ბედის წერისაგან თავზე მო
ეს მძიმე ხვედრი და შეურ
ნებისყოფით, როგორც ყოველ
დიდი ბელადის და მასწავლებ
მიერ დაწყებული ბრძოლა
მისა კაპიტალთან გამარჯვებ
დააგვირგვინოთ და უჩვენოთ
მსოფლიოს საბჭოების ძალაუფლებ
სიმტკიცე და შეურყევლობა.

მოუწოდებთ საბჭოთა და საზოგა
დოებრივ ორგანიზაციებს,
მშრომელთ და მოქალაქეებს
მტკიცედ შემოკრბენ საბჭოთა
სუფლების გარშემო და ამით
ტკიცოთ მთელს მსოფლიოს
შეურყეველი ერთობა და ძლ
ლება, რაც იმავე დროს იქნებ
ჩის ანდერძის განხორციელებ
კეთესო საწინდარი.

სრ. საქართველოს ცაკის თავმჯ
დომარე **მ. ცხაკაია.**
სრ. საქართველოს ცაკის მდივანი
შ. ხაბაშვილი.

მოქალაქენო!

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო გულისტკივილით გაუწყებთ მსოფლიო რევოლიუციის ბელადის, ჩვენი დაუფასებელი მასწავლებლის ვლადიმერ ლენინის გარდაცვალებას.

გულის სიღრმემდე ჩასწვდება ყველა მშრომელს ამ უბედურების ამბავი, რადგანაც ყოველმა მუშამ და გლეხმა, დიდმა და პატარამ კარგათ იცის, რომ ლენინის სიკვდილით მსოფლიო პროლეტარიატმა დაჰკარგა ბუმბერაზი მებრძოლი ხალხის განთავისუფლებისათვის, დაჰკარგა ის, ვინც მასთან იყო ყოველ გასაჭირში და თავისი გენიით როგორც წინასწარმეტყველი, უჩვენებდა მას სწორ გზას გამარჯვებისაკენ.

აღარ არის ლენინი! ვიცით, რომ დანაკლისი განუზომელია, მაგრამ დაგვრჩა მარადიული იდეა ბრძოლისა, მისგან ნაანდერძევი, და უღრმესი თაყვანისცემა მისი ხსოვნისათვის არის და იქნება ის, რომ მედგრად განვაგრძოთ მის მიერ დაწყებული საქმე.

ძვირფასი ცხედრის წინაშე ჩვენ უნდა შევკავშირდეთ ფოლადისებრ და კიდევ უფრო მტკიცედ, რომ განვახორციელოთ მისი უდიდესი განზრახვანი.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ლ. ლოლობერიძე.
საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის

დადგენილება

23 იანვარი 1924 წელი.

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის **ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვის (ლენინის)** გარდაცვალების გამო, ტფილისის აღმასკომი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო, საზოგადო, კერძო დაწესებულებებს და წარმოებებს, ტრაურის ნიშნათ გამოკიდონ სამგლოვიარო დროშები (წითელი-შავი არშიით).

2. ა. წ. 22 იანვრიდან დაწყებული დასაფლავების დღემდე (თანჩათვლით) შესწყდეს მოქმედება ყოველგვარ გასართობებისა, როგორც არის: თეატრები, ცირკები, კინო, კონცერტები, მუსიკა რესტორნებში, ყოველგვარი სათამაშოები და სხვა.

3. ყველა საზოგადო და კერძო სავაჭრო დაწესებულებებში, რომელთაც აქვთ აღებული გვიან ვაჭრობის ნებართვა, შესწყდეს ვაჭრობა საღამოს სრულ 11 საათზე.

4. ტფილისის მუშათა და გლეხთა მილიციის უფროსს ევალება თვალ[illegible] [illegible] ცხოვრებაში გატარებას.

ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვის (ლენინის) [illegible] იქნება გამოცხადებული.

აღმასკომის თავმჯდომარის მაგიერი **ი. ვარძიელი.**
მდივანი **თიკანაძე.**

გლოვა ლენინზე

დაცალიერდა დიდი ტრიბუნა:
მოკვდა ბელადი და ხმა შეუწყდა,
მსოფლიო ბედზე გადაელუნა
მას ყოფნის ღერძი—შუაზე გაუტყდა.

—

ჩვენ გასაჭირში არა გვჩვევია
ტირილი—ცრემლი ცხარე და მწველი,
თუმცა სიკვდილი ხშირად გვწვევია
პირლია, ღრჯენით და ბასრი ცელით.

—

მაგრამ დღეს ვტირით გულის ტკივილით,
ვტირით და თვალებს ავსებს ცრემლები,
ქვეყანას ვამცნობთ სულის კივილით
და მწუხარების გლოვიან ხმებით:

—

„მოკვდა ლენინი, მამათმთავარი,
ჩვენი ილიჩი და წინამძღოლი,
ის იყო ჩვენი დიდი მოძღვარი,
ჩვენ კი ვიყავით მისი გამყოლი.

—

მოკვდა... მაგრამ თქვენ რათ გიხარიათ
და რათ სისინებთ დღეს თქვენ გველებო!
ჩვენს გლოვის ჰიმნსა მღერით არიათ,
მაგრამ... იმედი ტყუილად გაქვთ მტრებო!

—

დიახ, მოგვიკვდა ჩვენი ლენინი,
მნათობს ღრუბლები გადაეფარა,
დროებით შეწყდა დღეს ჩვენი ლხინი
და ცხარე ცრემლი თან დაგვედევარა.

—

და თუ ჩაგვიქრა ერთი ვარსკვლავი,
და თუ ღრუბლები ფარავს ჩვენთვის მზეს,
ჩვენ გვიკაშკაშებს კვლავ უთვალავი,
სულით ვატარებთ მზეს და მის სხივებს.

—

დიახ, დღეს ვგლოვობთ, სიკვდილს ბელადის
მაგრამ ის ჩვენ კვლავ წინ გაგვიძღვება
მისი აჩრდილი ჩვენს შორის დადის
და რწმენა მისი სულში გვენთება.

ხანდრო ეული.

ი ლ ი ჩ ს!

შენ ნათელ სხივად მოევლინე ცხოვრებას ვერანს
და შეაჩერე შავ დროების წარღვნის ღვარები,
ბუმბერაზ მხედრად გამოუჩნდი მშრომელთა მერანს
და დაამსხვრიე დახუნდული ქვეყნის კარები!

გმირის დაკარგვით თუმც ვგრძნობთ გულის წუხილის ძგერანს,
მაგრამ ყოველთვის გვეყოლები წინსვლის ემბლემად,
ჩაგრული ხალხი კვლავ გაჰყვება ახალ ვეტერანს,
ნაკაფი გზები გადაიქცა ჩვენთვის „ბეთლემად“.

შენ მოკვდი, მაგრამ არ მოკვდება შენი იდეა,
ქარხნის ჩაქუჩებს უერთდება მინდვრის ბარები,
თავისუფლების ასპარეზი ვრცელი კიდეა,
წითელი მარშით გაივლიან მაშვრალთ ჯარები!.

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

ამხანაგ ლენინის ხსოვნას

ამონაკადი გულის სიღრმეს ამოატანე,
შენ, მწარე გრძნობავ, შხამ—სამსალით შეზავებულო,
შრომისა შვილებს მოგვკვდომია უებრო მცველი,
დიდი ტრიბუნის მზე დაბნელდა. გვმართებს ვიგლოვოთ.

——

მესმის. დავმწუხრდი. ზარი მეცა, ზარი გლოვისა.
მხიარულ სახეს სწრაფ დაეტყო დალვრემილება;
დიდო ბელადო, ქიდსა უხრი შენსა ხსენებას,
ცრემლი ვაპკურო შენსა ცხედარს მომეცი ნება!
ცრემლი ობოლი დაობლებულ შრომის შვილისა,
ამონგმური მწუხარებით სავსე გულისა.

მუშა—მაქრო ნავთლუღელი.

მსოფლიო რევოლიუციის ბელადის ამხ. ლენინის ხსოვნას

ხშირად შემხვედრია გაზეთებში მრავალი მწუხარების მომბე შავი არშია, მაგრამ ისეთი მწუხარება და გულის ტკივილი არ გვიგრძვნია ჩვენ, თუთუნის ქარხანა „პროლეტარიატი“-ს მუშებს, როგორც 22 იანვარს.

დაგვტოვა ობლად ჩვენმა მოჭირნახულე და მსოფლიო მუშათა კლასის მოძღვარმა, ამხ. ლენინმა.

ამ სამწუხარო დეპეშამ დაალონა და აატირა მთლად რუსეთის და ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი; ამ დღეს ფრიად სამწუხარო და დიდი დანაკლისი მოგვიტანა ჩვენ. ეს დღე ჩვენთვის საუბედურო დღეა. ამხ. ლენინი მოკვდა, მაგრამ ჩვენ არ გვინდა ეს დავიჯეროთ, არ გვინდა ჩვენმა ყურმა ისმინოს ეს სიტყვები: ლენინი მოკვდაო. მაგრამ საზარელ სინამდვილეს ვერ გავექცევით. ის მოკვდა სხეულით. არ მომკვდარა მისი რწმენა, აზრი და მიმართულება; ის ცოცხალია და იცოცხლებს მანამდე, სანამ დედამიწის ზურგზე ერთი მშრომელი მუშა მაინც იარსებებს. მას არ დაივიწყებს არც აწმყო და არც მომავალი თაობა, არ დაივიწყებს, აგრეთვე მის ნაანდერძევს. ის უფრო მტკიცედ და შეურყევლად ივლის იმ გზაზე, რომელზედაც მივყავდით ამხ. ლენინს, მისი რწმენა—ჩვენთვის უცვლელი კანონია. მის მოქმედება ხელთუქმნელი ძეგლია, ჩვენს გულში მისგანვე აღმართული. მისი სახე ჩვენთვის რევოლიუციის ემბლემაა. ამიტომ ჩვენ, ხსენებული ქარხნის მუშებიც უერთებთ ჩვენ გულის ტკივილს, ჩვენს მწუხარებას მთელ მუშათა კლასის მწუხარებას და ფიცსა ვდებთ მის ძვირფას ცხედრის წინაშე, სანამ ჩვენს ძარღვებში სისხლი სჩქეფს, მანამ უკანასკნელი სისხლის წვეთი არ გაშრება ჩვენს სხეულში, მანამდის არ გადაუხვევთ მის მოძღვრებას, ვიბრძოლოთ იქამდის, ვიდრე არ შევმუსრავთ საბჭოთა ხელისუფლების მტრებს.

ამიტომ ჩვენც პროლეტარული სიმტკიცით განვაგრძობთ ჩვენი ბელადის მიერ დაწყებულ საქმეს და გვაქვს სრული იმედი, რომ გამარჯვებითაც დავაგვირგვინებთ მას.

ჩვენ, ორასი მუშა თუთუნის ქარხანა „პროლეტარიატი“-სა მუხლს ვიხრით ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის ცხედრის წინაშე და ფიცსა ვდებთ, რომ შეურყევლად ვიბრძოლებთ მისი იდეალების განხორციელებისათვის.

მუშა ალ. ბაჟიაშვილი.

ამხ. ვ. ი. ლენინი

დღეს მთელი მუშათა კლასი დალვრემილია და მწუხარებით მოცული. მისი სახე მოქუშნული და გაუცინარია. მის გარშემო საშინელი და მძლევარავი ფიქრები ტრიალებს. როგორ მოხდა და განა შეიძლებოდა ასე უეცრათ სიკვდილი იმ ლენინის, რომელმაც თავის 54 წლის სიცოცხლე მოანდომა მუშათა კლასის კეთილდღეობას და გამარჯვებას და კიდევაც მოუპოვა მას გამარჯვება.

დიახ მუშათა კლასი დღეს დალვრემილი და მგლოვიარეა. ის მგლოვიარობს და კიდევ დიდხანს იგლოვებს მისთვის თავდადებულ და საყვარელ მასწავლებელს და მებრძოლს.

დიახ მუშათა კლასს მოუკვდა მისი აღმზრდელი, მისთვის თავდადებული ლენინი, მაგრამ არ მომკვდარა და არც მოკვდება ის, რაც გაუკეთა და მოუპოვა მუშათა კლასს მისმა დაუვიწყარმა ბელადმა. დიახ ლენინმა გაუკეთა მუშათა კლასს ბევრი. მანქყოველივე მოგვცა ჩვენ, ჩვენ მან მოგვაპოვებია მუშათა ხელისუფლება, რომელმაც ბევრი ჩვენი ევროპიელი ამხანაგები შენატრიან.

დიახ ლენინმა მთელი თავისი 54 წ. სიცოცხლე შეალია და მოანდომა მუშათა კლასის გამარჯვებას. და ამიტომაცაა რომ მისმა უდროოდ დაკარგვამ ასეთი თავზარი დასცა მუშათა კლასის კერას. მაგრამ ლენინი არ მომკვდარა და არც მოკვდება მუშათა კლასის გულში. ის იყო არის და იქნება.

მუშა გარ. კვინტრაძე.

მუშათა ცენტრალურ კლუბში

სამშაბათს, 22 იანვარს, საღამოს რვა საათზე მშრომელი ხალხით გაჭედილ მუშათა ცენტრალურ კლუბში მოხსენება გააკეთა ამხ. ერქომაიშვილმა. მომხსენებელმა გამოუცხადა ხალხს ვლადიმერ ილიჩის სიკვდილი, რასაც ხალხმა ფეხზე ადგომით და სამგლოვიარო მარშით შეხვდა. ბევრს ცრემლებიც მოერია თვალში. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე ჩვენი დიდებულ ბელადის მოულოდნელმა სიკვდილმა. შემდეგ მომხსენებელმა მოკლედ გააცნო საზოგადოებას ლენინის ბიოგრაფია და იმის ღრმა იდეა, რომელიც საფუძვლად აქვს კომუნისტურ აღმშენებლობას.

დამსწრე მუშა.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

„მუშათა მთავრობა“ ინგლისში

ინგლისის მთავრობას სათავეში ჩაუდგა მაკდონალდი. რკინის გზელთა გაფიცვა ფართოვდება.

ახალი მთავრობა: ბალდვინი გადადგა. უკვე სავსებით გამოირკვა „მუშათა მთავრობის“ სრული შემადგენლობა.

მაკდონალდის სიტყვა: მაკდონალდმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ის დაამტკიცებს სოციალიზმის საშიშროების უსაფუძვლობას.

პრესის აზრი: ლიბერალური პრესა მხარს უჭერს მაკდონალდის მთავრობას.

გერმანიის პრესა თავდაჭერილად შეხვდა მაკდონალდის მთავრობას.

ახალი მთავრობა

ბალდვინის კაბინეტის გადადგომა.

ლონდონი. 21 იანვარი. დებატები პარლამენტში დასრულდა 21 იანვარს ღამის თერთმეტ საათზე.

სპიკერმა წაიკითხა მუშათა პარტიის შესწორება ბალდვინის კაბინეტისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

კენჭის ყრა 15 წუთს გაგრძელდა. შესწორებას ხმა მისცა 328-მ, წინააღმდეგ 250-მა.

ბალდვინის კაბინეტი გადაყენებული იქნა 72 ხმის უმრავლესობით.

351 ხმით 250-ის წინააღმდეგ მიღებული იქნა დადგენილება პარლამენტის სხდომის გადადების შესახებ.

22 იანვარს შუადღეზე ბალდვინმა განუცხადა მეფეს კაბინეტის გადადგომის შესახებ.

მეფე მოიწვევს მაკდონალდს და წინადადებას მისცემს მას შეადგინოს მთავრობა. ფიქრობენ, რომ ახალი მთავრობა შესდგება არა უადრეს პარასკევისა. პარლამენტის სხდომები განახლდება თებერვლის პირველ რიცხვებში.

შესვენების დროს ახალი მთავრობა გაეცნობა საქმეებს.

ფიქრობენ, რომ ჰენდერსონი ახალ მთავრობაში დაიჭერს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს, ტომასი—კოლონიების ან სამხედრო მინისტრისას.

ოთხშაბათს ან ხუთშაბათს მაკდონალდი შეუდგება საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას.

ხმები დადის, რომ კერზონი წასვლის შემდეგ მიიღებს ჰერცოგის ტიტულს.

ბალდვინის გადადგომა.

ლონდონი. 22 იანვარი. (ინგლისის პრესის რადიო). **ბალდვინმა შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ. მაკდონალდმა განაცხადა თანხმობა კაბინეტის შედგენაზე.**

მაკდონალდი მეფესთან.

ლონდონი. 22 იანვარი. **შუადღისას მეფემ მიიღო მაკდონალდი, რომელსაც თან ახლდა ტომასი, კლაინსი და ჰენდერსონი, მისი მთავარი თანამშრომლები.** მეფემ წინადადება მისცა მაკდონალდს შეადგინოს მთავრობა და მუშების ლიდერმა თანხმობა განაცხადა ამაზე, ამის შემდეგ მაკდონალდმა ფიცი დასდო როგორც საიდუმლო საბჭოს წევრმა. საუბარი ერთ საათს გაგრძელდა.

პალატის მუშაობის შეწყვეტა.

ლონდონი. 23 იანვარი. ბალდვინმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მთავრობა გადადგა და დაუმატა, რომ ყველა მინისტრები დარჩებიან თავიანთ ადგილებზე ახალი მინისტრების დანიშვნამდე.

ბალდვინმა შემოიტანა წინადადება პალატის სხდომების შეწყვეტის შესახებ 12 თებერვლამდი. მან აღნიშნა, რომ ეს წინადადება წარმოდგენილია ახალ მთავრობასთან შეთანხმებით.

წინადადება მიღებული იქმნა. თემთა პალატის სხდომები შეწყდა.

მუშათა კაბინეტის შემადგენლობა.

ლონდონი. 23 იანვარი. საღამოს ხუთ საათზე მაკდონალდმა ხელმეორეთ ინახულა მეფე, რის შემდეგ განაცხადა, რომ მეფემ მოიწონა მთავრობის შემადგენლობის სია.

მთავრობაში შედიან:

რამზაი მაკდონალდი—პრემიერი, ხაზინის პირველი ლორდი და საგარეო საქმეთა მინისტრი; კლაინსი—ლორდი—შემნახველი პატარა სახელმწიფო ბეჭედის, დეპუტატი და პარტიის ლიდერი თემთა პალატაში; ლორდ პარმური—საბჭოს თავმჯდომარე—ლორდი; ვიკონტ ჰალდენი—ლორდი—კანცლერი; ფილიპ სნოუდენი—ხაზინის კანცლერი; ჰენდერსონი—შინაგან საქმეთა მინისტრი; ტომასი—კოლონიების მინისტრი; სტეფან ველში—სამხედრო მინისტრი: სერ სიდნეი ოლივიერი—ინდოეთის მინისტრი; გენერალი ტომსონი—ავიაციის მინისტრი; ვიკონტ ჩელმსფორდი—საზღვაო სამმართველოს პირველი ლორდი; სიდნეი ვებბი—ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი; უიტ ლეი—სახალხო ჯანმრთელობის მინისტრი; ნოელ ბექსტონი—მიწად მოქმედების მინისტრი; ადამსონი—შოტლანდიის საქმეთა მინისტრი; ტრიველიანი—სახალხო განათლების მინისტრი; ტომას შოუ—შრომის მინისტრი; ვერნონ ჰარტშორნ—ფოსტა-ტელეგრაფის დირექტორი; გენერალი ვეჯვუდი—ლანკასტერის საჰერცოგოს კანცლერი; ფიფტი—შრომის კომისარი.

გადაწყდა, რომ ახალი მინისტრები ხვალ ჩაიბარებენ საქმეებს.

ბალდვინის სიტყვა

რა გააკეთა ბალდვინის მთავრობამ

ლონდონი. 23 იანვ. თემთა პალატაში, კამათის დროს, ბალდვინმა წარმოსთქვა სიტყვა და გამოესარჩლა კონსერვატიული მთავრობის მოღვაწეობას 12—13 თვის განმავლობაში. ბალდვინის სიტყვით, მთავრობამ გადასჭრა საკითხი ინგლისის ვალებისა ამერიკის მიმართ, უკიდურეს გაჭირვების ხანაში შეინარჩუნა თანხმობა საფრანგეთთან, ხელშეკრულობა დასდო ოსმალეთთან და პრაქტიკულად გადასწყვიტა სიძნელენი ტანჟერის საკითხში.

ბალდვინი შეეხო თავის მოღვაწეობას პროტექციონიზმის პოლიტიკაში და აღნიშნა, რომ ამ პოლიტიკის პასუხისმგებლობა პირადად მას ედება, თუმცა ამ საკითხში მას მხარს უჭერდა გაერთიანებული მთავრობა, რომელსაც მოწოდებით მიჰმართა ხალხს.

მაკდონალდის სიტყვა

სოციალიზმიც ავითი უნდა!

ლონდონი. 22 იანვარი. თავის სიტყვაში რამზეი მაკდონალდმა სთქვა: **„თემთა პალატამ გადასდგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც მისი რწმენითა და იმედით, ინგლისის ისტორიაში აღინიშნება, როგორც ნაბიჯი გადადგმული სიკეთისაკენ“.** საგარეო პოლიტიკაში მაკდონალდს შესაძლებლად მიაჩნია მდგომარეობის გაუმჯობესება, თუმცა ამავე დროს აცხადებს, რომ ამ გაუმჯობესების უმთავრესი მიზეზი იქნება ინგლისის მთავრობის შეცვლა.

რაც შეეხება სოციალიზმით გამოწვეულ შიშს, მაკდონალდი აცხადებს, რომ რაც უნდა კარგად იყოს დასაბუთებული ეს შიში, მისი პარტია ყოველ ღონეს იხმარს, რომ გაჰფანტოს და მოსპოს ასეთი შიში.

პრესის აზრი

გერმანიის პრესა მაკდონალდის მთავრობის შესახებ.

ბერლინი. 23 იანვარი. ბერლინის პრესა დეტალურად ეხება ინგლისში მომხდარ ცვლილებას, მაგრამ თავს იჭერს ამ ცვლილებების გამო საგარეო პოლიტიკაში მოსალოდნელ პერსპექტივების დაფასებისაგან.

მიუხედავათ ამისა, პრესაში გაკვრით მაინც ეჭვს გამოსთქვამენ იმაში—შესძლებს თუ არა ინგლისის ახალი მთავრობა ინგლისის ძველი გავლენის აღდგენას საფრანგეთზე.

„ბერლინერ ტაგებლატი“ მაკდონალდის პრემიერათ დანიშვნას, ინგლისის დემოკრატიზაციის უდავო ფაქტათ სთვლის.

ასეთივე აზრს გამოსთქვამს „ფოსიშე ცეიტუნგი“-ც, რომელიც მიუთითებს, **რომ მაკდონალდის მთავრობა არ იქნება მუშური მთავრობა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.** მაგრამ, თუ მაკდონალდის პოლიტიკა არ იქნება გამსჭვალული წმინდა სოციალისტური სულით, ის მაინც შეეცდება გაატაროს სოციალისტური იდეები და სინდისიერად მიიღებს ზომებს ვერსალის ხელშეკრულების ნამდვილ საზავო ხელშეკრულებად გადასაქცევად.

რკინის გზელების გაფიცვა

მხარეების მოლაპარაკება.

ლონდონი. 23 იანვარი, რკინისგზების დირექტორების საგანგებო სხდომაზე განიხილავდენ გაფიცვის ლიდერის ბრომლეის წერილს, რომლის საშუალებითაც რკინისგზელთა ალმასკომი წინადადებას იძლეოდა განეხილათ სადაო საკითხები სულ ერთია რომელ ვადაშიაც მოხდებოდა ეს. ხანგრძლივი კამათის შემდეგ დირექტორებმა აცნობეს ბრომლეის, რომ მისი წინადადებები შეიცავენ უკიდურეს საზღვარს, სადამდისაც შეუძლიათ მივიდენ რკინისგზის კამპანიები. აცნობეს რა მას, რომ დირექტორები მზად არიან მიიღონ მონაწილეობა რკინისგზელთა ალმასკომთან ერთად მოწვეულ კრებაზე, განაცხადეს, რომ ისინი დიდ სარგებლობას ვერ ხედავენ ასეთ კრებიდან, სანამ რკინისგზელთა საზოგადოება წინააღმდეგია წარმოდგენილ წინადადებისა.

მრეწველობა ეცემა.

ლონდონი. 23 იანვარი. რკინისგზელთა გაფიცვა გავლენას ახდენს მრეწველობაზე. **უელსში არ მუშაობს 50.00 მემადნეე. ღუმელები ჩაქრობილია.**

არაჩვეულებრივი სანახაობა.

ლონდონი. 23 იანვარი. **რკინისგზელთა გაფიცვამ გამოიწვია ყველა გზა-ტკეცილების ავსება სხვადასხვაგვარ მიმოსვლის საშუალებებით.** რკინისგზების კამპანიებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ მხოლოდ ადგილობრივ ხაზზე მოძრაობას, გასწვრივი ხაზებზე მიმოსვლა შეწყვეტილია.

გაფიცვა ფართოვდება.

ბერლინი. 23 იანვარი. **ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად გაფიცვა ფართოვდება. რკინისგზების სამმართველოების ცნობით გაფიცულია რკინისგზელთა ორი მესამედი. დიდ ცენტრებისთვის სურსათის მოწოდება სწარმოებს ავტომობილებით.**

ახალი მთავრობის გარშემო

ლიბერალების პოზიცია.

ლონდონი. 23 იანვარი. ლიბერალური პარტიის დამოკიდებულება ახალი მთავრობისადმი გამოირკვა ლიბერალური პარტიის კრებაზე, რომელზედაც გამოითქვა აზრი, რომ მუშათა პარტიისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნას დახმარება იმ დრომდი, სანამ მთავრობის მიერ მიღებული ზომები არ იქნება მიმართული ლიბერალური ტრადიციების წინააღმდეგ.

საარჩევნო რეფორმა.

ლონდონი. 23 იანვარი. ლიბერალურმა პარტიამ მოაწყო კომისია საარჩევნო სისტემის განსახილველად. ეს საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება, ალბათ, ინგლისის უახლოესი პოლიტიკისათვის.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობით, არ არის მართალი ცნობა, საბჭოთა მთავრობის მიერ პეტროგრადში შვეციის საელჩოსათვის სახლის ჩამორთმევის შესახებ.

რუმინეთში: რუმინეთის პრესის უმეტესი ნაწილი დაჟინებით მოითხოვს მთავრობისაგან დაუყოვნებლივ შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან.

პოლონეთში: ლოძის პროფკავშირთა კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც მოითხოვს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებას.

საბერძნეთში: რუსეთში მყოფ საბერძნეთის მისიის მეთაურმა ვენიზელოსმა გადასცა მემორანდუმი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების შესახებ.

ჩეხო-სლოვაკიაში.

პრესა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

პრაღა. 21 იანვ. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „პრავო ლიდუს“ აცხადებს, რომ რუსეთი მოითხოვს მის ცნობას, როგორც წინასწარ პირობას ურთიერთობის მოგვარებისათვის. ხოლო სახელმწიფოების უმრავლესობა თანახმაა მხოლოდ განსაზღვრულ წინასწარ პირობების ცნობაზე. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან: რუსეთმა უნდა იცნოს პირობები, რომლებიც გამომდინარეობენ არსებულ საერთაშორისო სამართლისაგან. მაგალითად, ომის წინა დროის ვალების ცნობა. სხვაგვარი პირობები არ უნდა წარმოადგენდენ ცნობის წინასწარ პირობას და კონკრეტიულ მოლაპარაკების საგანს.

რუმინეთში.

დაჟინებით მოითხოვენ.

ვენა. 21 იანვ. **რუმინეთის პრესის უმეტესი ნაწილი დაჟინებით მოითხოვს მთავრობისაგან დაუყოვნებლივ შეთანხმებას საბჭოთა რუსეთთან.**

საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების მოთხოვნა.

ვარშავა. 21 იანვარი ლოძში პროფკავშირთა კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, უმუშევრობის თანდათანი ზრდის გამო, **დაუყოვნებლივ სავაჭრო ხელშეკრულების დადებას საბჭოთა კავშირთან.**

საბერძნეთში.

პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის დაუყოვნებლივი განახლება.

ვენა. 21 იანვ. საბერძნეთის მისიის მეთაურმა კაკულიდიომ, რომელიც დაბრუნდა მოსკოვიდან, გადასცა ვენიზელოსს მემორანდუმი საბჭოთა კავშირთან პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის დაუყოვნებლივ განახლების შესახებ.

საფრანგეთში

საბჭოთა კავშირის ცნობის გარეშე ვაჭრობა საფრანგეთთან შეუძლებელია.

მოსკოვი. 21 იანვ. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. კრასინმა აღნიშნა, რომ ვაჭრობის განვითარება საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის შესაძლებელი იქნება მხოლოდ საფრანგეთ-რუსეთის დამოკიდებულებათა უფლებრივ საფუძვლის შექმნის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში, სავაჭრო ხელშეკრულების სახით. საბჭოთა კავშირის სავაჭრო აგენტურის დაარსება პარიზში დროებითი ცდა იყო, რომელიც გრძელდებოდა ორი წლიწადი, მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რომელთაც გვიყენებდა საფრანგეთის მთავრობა. იმ დროს, როდესაც ჩვენი წარმომადგენლობის ოპერაციები ინგლისში და გერმანიაში უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში გამოიხატება ათეულ მილ. გირ. სტერლინგებში,—პარიზის აპარატის ბრუნვა უდრის 25 მილ. ქაღალდის ფრანკს.

ცნობილია სენის ტრიბუნალის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც საფრანგეთის ფირმამ, რომელმაც ჩვენგან იყიდა კავკასიის აბრეშუმი, უნდა გადაუხადოს მისი ღირებულება აბრეშუმის ყოფილ მესაკუთრეთ; ტრიბუნალი თავის გადაწყვეტილებას ასაბუთებს იმით, რომ საბჭოთა მთავრობის ოფიციალურ აქტებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს საფრანგეთის სასამართლოსთვის იმ დრომდი, სანამ საბჭოთა კავშირი ცნობილი არ იქნება საფრანგეთის მიერ. ამ გადაწყვეტილებამ დაამტკიცა. რომ შეუძლებელია საფრანგეთთან ვაჭრობის წარმოება; ამ გადაწყვეტილების გამო, ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობა საფრანგეთში იძულებულია დაკმაყოფილდეს მინიმალური ოპერაციებით. საფრანგეთის მწარმოებლები, რომელთაც სურთ ივაჭრონ საბჭოთა კავშირთან, იძულებული არიან მიმართონ ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობას ლონდონში და ბერლინში. ჩვენი საგარეო ვაჭრობა ამით არ დაზარალდება, რადგან ის განვითარდება დამოუკიდებლათ იმისაგან, თუ როგორ პოლიტიკას აწარმოებს ჩვენს მიმართ საფრანგეთის პრემიერი“.

საბჭოთა კავშირი და შვეცია

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილის განმარტება.

სტოკჰოლმი. 23 იანვარი. შვეციის პრემიერის ტრიუგერის განცხადების გამო, თითქოს საბჭოთა რუსეთმა პირველმა ჩაშალა ურთიერთობა შვეციასთან, კონფისკაცია უყო რა შვეციის საელჩოს შენობას 1918 წელს, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ ლიტვინოვმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: „ტრიუგერის განცხადება არ შეეფერება სინამდვილეს. პეტროგრადში ადგილი არ ჰქონია შვეციის საელჩოს შენობის არც კონფისკაციას და არც მუნიციპალიზაციას. ჯერ კიდევ 1920 წელს კრასინმა აცნობა შვეციის გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის დაუბრუნოს შვეციას საელჩოს შენობა. აგრეთვე არ შეეფერება სინამდვილეს ტრიუგერის განცხადება, თითქოს რუსეთში ავიწროებდენ შვეციელ მოქალაქეებს. რუსეთში უცხოელები არასოდეს არ განიცდიდენ შევიწროვებას, სანამ მათმა მთავრობებმა არ გასწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა ჩვენთან. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკე სახელმწიფოები ღებულობდენ მონაწილეობას ინტერვენციაში, ბლოკადაში და სხვა ამგვარ მტრულ მოქმედებაში საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, ამ სახელმწიფოთა მოქალაქეების მიმართ იყო მიღებული ზომები, ჯაშუშობის თავიდან აცილების მიზნით.

მოლაპარაკება შვეციასთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ ახლო მომავალში დასრულდება. ხელშეკრულების პროექტი შვეციას ანიჭებს ისეთსავე უფლებებს, როგორიც ეძლევა სხვა სახელმწიფოებს მაგრამ შვეციის მთავრობა მოითხოვს ისეთ შეღავათებს, რომელთაც ჩვენ ვაძლევთ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ჩვენ გვცნობენ იურიდიულად. ამაზე ჩვენ თანხმობა არ შეგვიძლია.

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა

ყრილობის გახსნა.

ლიონი. 22 იანვარი. **კვირას ლიონში გაიხსნა საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა. მონაწილეობას ღებულობს 148 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ 84 ორგანიზაციას.**

კაშენი ხსნის ყრილობას და აღნიშნავს, რომ საფრანგეთის და გერმანიის მდგომარეობა მოითხოვს პროლეტარიატის აქტიურ გამოსვლას. თუ პროლეტარიატი გამოიჩენს საკმაო რევოლიუციონერობას, საფრანგეთის კომპარტია დარწმუნებულია, რომ ის მიიყვანს მას გამარჯვებამდე, მიუხედავად მთავრობისაგან დევნისა.

კაშენმა დაამთავრა სიტყვა კომინტერნის მიმართ საფრანგეთის პროლეტარიატის მისალმების გამოქვეყნებით. ყრილობამ პატივი სცა უდროოდ გარდაცვალებულ ფრანგ კომუნისტის ტარის ხსოვნას.

მარიუს ვასილმა, რომელიც გამოვიდა მოხსენებით მოსკოვში გამართულ საერთაშორისო კონფერენციის მუშაობის შესახებ, ხაზი გაუსვა საფრანგეთის გლეხების მემამულეების უღლიდან განთავისუფლების აუცილებლობას, რაც უნდა მოხდეს გლეხების პროფესიონალური კავშირებში ჩაბმისა და საფრანგეთში მიწის მუშაკთა კავშირის დაარსების გზით.

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მისალმება გაუგზავნა რუსეთის რევოლიუციის ბელადებს, საფრანგეთის ახალგაზრდობის კომკავშირის მდივანს, რომელიც ამას წინათ გაასამართლეს, და გერმანიის მუშებს.

მოწოდება საერთაშორისო პროლეტარიატს.

კუტიურიემ გამოაქვეყნა საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება საერთაშორისო პროლეტარიატისადმი. მოწოდებაში ნათქვამია, რომ საფრანგეთის და გერმანიის კაპიტალიზმის მარცხი აუცილებელია, რომ გერმანია ვერასოდეს ვერ შესძლებს სარეპარაციო გადასახადების დაფარვას, რომ რურის ოკუპაციამ მთელი მსოფლიო აამხედრა საფრანგეთის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობა კატასტროფიულია, ხოლო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა დღითიდღე მტკიცდება. მომავალში მოხდება საბჭოთა მთავრობის იურიდიული ცნობა იტალიის და ინგლისის მიერ; საფრანგეთმა უნდა მიჰბაძოს მათ მაგალითს. მოწოდებაში ნათქვამია: „1924 წელი აღინიშნება საფრანგეთში მუშათა და გლეხთა ბლოკის შექმნით და [illegible] კომინტერნის [illegible] გაერთიანების ნიშნის ქვეშ. [illegible] ერთსულოვანი [illegible] ტაშისცემით [illegible].

უცხოეთის კომპარტიების წარმომადგენელთა გამოსვლა.

ერთი მეორეზე გამოდიან უცხოეთის კომპარტიების წარმომადგენლები. ინგლისის კომპარტიის წარმომადგენელი ნიუბოლდი აცხადებს, რომ ინგლისის კომპარტია რიცხვით დიდი არ არის, მაგრამ მისი გავლენა თანდათან იზრდება. რეფორმისტული მუშათა პარტია აიღებს ხელში ძალაუფლებას, მაგრამ ის ვერ განახორციელებს პროლეტარიატის რევოლიუციონურ იმედებს.

მუშათა პარტიის დროშის ქვეშ წინანდებურად იბატონებს ინგლისის ბურჟუაზია. ამაოდ მოელიან მუშები ახალ კანონებს შრომის და ახალი ზომების შესახებ, რომლებიც გააუმჯობესებენ პროლეტარიატის ეკონომიურ მდგომარეობას. ინგლისის ახალი მთავრობა იცნობს საბჭოთა კავშირს იურიდიულად; მაგრამ მშვიდობიანობის დაცვის მიზნით მაინც აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა ინგლისის და საფრანგეთის მუშებთან. გერმანიის კომპარტიის წარმომადგენელი ამბობს, რომ გერმანიის კომპარტია, მიუხედავად განსაკუთრებულ აუტანელ მდგომარეობისა, გაფაციცებით თვალყურს ადევნებს მუშათა მოძრაობის განვითარებას. ოკუპაცია ქმნის ნიადაგს გერმანიის და საფრანგეთის კომპარტიის შეთანხმებული მუშაობისათვის.

გერმანიის მუშათა მოძრაობა არ შეიძლება ჩახშობილ იქნეს. გერმანიის მუშებმა კვლავ დაიწყეს ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღის დასაცავად და ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მიუხედავად ებერტის აკრძალვისა, გერმანიის კომპარტია დაუშრეტელი ენერგიით ეწევა მუშაობას ქარხნებში, ფაბრიკებში და დარწმუნებულია, რომ ვერაფერი ვერ შეაფერხებს გერმანიის რევოლიუციის განვითარებას.

მისალმებების შემდეგ ყრილობა ერთხმად ღებულობს საპროტესტო რეზოლიუციას ანარქისტების გამოსვლების წინააღმდეგ გრადობელის ქუჩაზე. რეზოლიუცია თავდება მოწოდებით საერთაშორისო პროლეტარიატისადმი მუშათა მოძრაობის მტრების საწინააღმდეგო ბრძოლაშიც გაერთიანების შესახებ.

გერმანიის მუშების ბრძოლა

ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისათვის.

მოსკოვი. 22 იანვარი. პროფინტერნმა გერმანიის პროლეტარიატის 8 საათის სამუშაო დღისათვის ბრძოლის სასარგებლოდ გაიღო 20,000 დოლარი, ხოლო მელითონეების საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტმა—5000 დოლარი.

პროფკავშირები დათმობაზე წავიდენ.

ბერლინი. 21 იანვ. უმუშევრების ზეგავლენით პროფკავშირების წარმომადგენლებმა დაიწყეს მოლაპარაკება შრომის სამინისტროსთან მუშების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესახებ. მოლაპარაკების დროს პროფკავშირების წარმომადგენლებმა აუცილებლად სცნეს იძულებითი მუშაობა და მოითხოვეს მხოლოდ სამუშაო ხელფასის გადიდება და შრომის პირობების გაუმჯობესება. შრომის სამინისტრომ თანხმობა განაცხადა მუშების მოთხოვნილების ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე.

მოძრაობა კლებულობს.

ბერლინი. 21 იანვარი. რეინის ვესტფალიაში მიღწეულია შეთანხმება მწარმოებლებსა და ქრისტიანულ პროფკავშირებს შორის სამუშაო ხელფასის შესახებ. მელითონეების თავისუფალმა პროფკავშირმა უარი სთქვა მოლაპარაკებაზე.

დიუსელდორფში დასრულდა ტრანსპორტის მუშების გაფიცვა.

მიუნხენში და გლადბახში მიღწეულია შეთანხმება სამუშაო ხელფასის შესახებ მწარმოებლებსა და ფეიქართა კავშირს შორის.

ზოლინგენში, დიუბურგში და რემშეიდში საგაფიცვო მოძრაობა მცირდება, სოციალ დემოკრატების საბოტაჟის გამო.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ხელმძღვანელობით.

ბერლინი. 22 იანვარი. მიუხედავად პროფკავშირების საბოტაჟისა, რეინის ვესტფალიაში გრძელდება მემადნეების ბრძოლა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ხელმძღვანელობით. მთელ რიგ ქალაქებში მოხდა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წევრთა დაპატიმრება. ზოლინგენში და დიუსელდორფში მოხდა შეტაკება გაფიცულებსა და პოლიციას შორის.

პროფკავშირები ეთანხმებიან სამუშაო დღის გაგრძელებას.

ბერლინი. 21 იანვარი. ზემო-სილეზიაში მემადნეებმა განაახლეს მუშაობა. პროფკავშირები მიემხრნენ სამუშაო დღის გაგრძელებას. შუა-გერმანიის ლითონის მრეწველობაში განახლდა მუშაობა. პროფკავშირებმა მიიღეს მწარმოებლების წინადადება 9 საათის სამუშაო დღის შესახებ.

სხვადასხვა

საფრანგეთი

სურთ განხეთქილება გამოიწვიონ პროფესიონალურ მოძრაობაში.

პარიზი. 21 იანვარი. 25 იანვრისათვის მოწვეულია შრომის უნიტარული კონფერენციის უმცირესობის ყრილობა. ამის გამო „ჰუმანიტე“ აფრთხილებს მუშებს, რომ კონგრესის მონაწილეებს არა აქვთ მანდატი მუშებისაგან. ისინი ცდილობენ განხეთქილება გამოიწვიონ პროფესიულ მოძრაობაში. გაზეთი მოუწოდებს მუშებს არავითარი ანგარიში არ გაუწიონ კონგრესის დადგენილებებს.

ნორვეგია

ნავთსადგურის მუშების გაფიცვა.

ქრისტიანია. 21 იანვარი. ნორვეგიაში დაიწყო ნავთსადგურის მუშების გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს 5,600 კაცი. გაფიცვის მიზეზია სამუშაო ხელფასის შემცირება. მოსალოდნელია შტრეიკბრეხერების ფაშისტური ორგანიზაციის მობილიზაცია.

ბელგია

კომუნისტების გზით.

პარიზი. 21 იანვარი. კომუნისტების წინადადებით, პროფკავშირთა ბრიუსელის გაერთიანებამ მიმართა ბელგიის პროფკავშირთა კომიტეტს მოთხოვნით გამოაცხადოს საყოველთაო გაფიცვა პარლამენტში 8 საათის სამუშაო დღის გაუქმების კანონ-პროექტის განხილვის დღეს. (კანონ-პროექტი შეტანილია დევეზის მიერ).

იაპონია.

ცნობები უკანასკნელ მიწისძვრის შესახებ.

ტოკიო. 21 იანვ. წინასწარ ოფიციალურ ცნობების თანახმად, **უკანასკნელ მიწისძვრისაგან დაზარალდა 22 ქალაქი და დაინგრა 5000-დე სახლი; ზარალი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული.**

კობე. 19 იანვარი. მიწისძვრის რაიონში საგრძნობი იყო მიწის-ქვედა ფენების რყევა. მაცუმოტოს და ნაკანის ოლქებში მიწისძვრის სიძლიერე არაფრით არ ჩამოუვარდებოდა სექტემბერში მომხდარ მიწისძვრას. იოკაგამაში დანგრეულია 2700 სახლი; ტოკიოს მიდამოებში დანგრეულია 1000-მდე სახლი.

ადამიანთა მსხვერპლი შედარებით მცირეა.

ბაქოს ტრამვაი

პირველი ამუშავება.

ბაქო. 21 იანვ. ბაქოს პროლეტარიატმა ახალსა და ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია შრომის ფრონტზე. 19 **იანვარს, ღამე ნავთიან ბაქოს ქუჩებში პირველი მგზავრობა გააკეთა ბაქოს ტრამვაიმ** რომელიც 11 თვეში შექმნა ბაქოს პროლეტარიატის ძლევამოსილმა ნებისყოფამ, მთავარ ინჟინერ რადციგის ხელმძღვანელობით. თუმცა დამე გადასული იყო, მაგრამ ვაგონების სრიალმა არაჩვეულებრივი ზეიმი გამოიწვია ქალაქში. გულიანადის აღტაცებითა და წრფელის სიხარულით ეგებებოდა ბაქოს მოსახლეობა საბჭოთა ტრამვაის ძლევამოსილ სვლას. ის, რის განხორციელებაც მეტად ძნელი საქმეა ტექნიკურად უმაღლესად განვითარებულ ქვეყნებშიაც კი შედარებით იოლად და სწრაფად განხორციელდა შავი სისხლის პროლეტარიატის დაკორძებულის მარჯვენით,

ამ მხრივ ბაქოს ტრამვაი მართლაც რომ ნატეხია სოციალიზმისა, რომელმაც ჩვენს საბჭოთა დედამიწაზე შეისხა ხორცი. შრომისა, მეცნიერებისა, აზრისა და ტეხნიკის გაერთიანებულ მიდრეკილებას შეუძლიან სასწაულის მოხდენა.

და სწორედ ასეთი სასწაულია ბაქოს ტრამვაი. მომავალი კვირიდან დაიწყება გაწესრიგებული მოძრაობა ტრამვაისა ქალაქში. მორიგ საკითხად სდგას, ტრამვაის შტოების გაყვანა ნავთის მრეწველობის მუშათა უბნებისაკენ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.
(24 იანვარი)

ჩერვონცები — —	1.180,000 ათ.
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	1155,000
ჩეკები	—1103,000
დოლარი ეფექ.	262.000
ჩეკები	—249.000
ოსმალ. ქაღ. ლირა	160.000
იტალიური ლირა	11500
ფრანგული ფრანკი	11900
საბჭ. ფულის ნიშნები	15 ნახ.

მუშტაიდის ფასები.
(24 იანვარი)

პური 2 ხარ. 5000 ათ., ძროხის ხორცი—26000. ღორის ხორცი—25000 ათ. შაქარი რაფინადი —50 400 ათ. ფხვნილი შაქარი—34,720 ათასი, ბრინჯი ალდ. 10100 ათ. კარტოფილი—1500 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.
(23 იანვარი).

პური 1 ხარ.—9000 ათ., პური 2 ხარ. —7000 ათასი, ძროხის ხორცი 35000 ღორის ხორცი 35000 ათ., შაქარი რაფინ. 56000 ათ., შაქარი ფხვნილი 36,000 ათ, ბრინჯი ალდ.—11000 ათ, კარტოფილი 2000 ათ.

ბირჟის მიწოდება.

ცინკის უმარილი, სპილენძი (ფურცლოვანი), როსტოვის ფაბრიკის პაპიროსები, საშენებელი ლურსმნები, პემზა, „სახაროტრესტ"-ის პროდუქცია, ღვედები, „ურალმეტ"-ის პროდუქცია, ხორბალი და პურეული, სინგაპურის პილპილი, კაკაო ზეთი და მარცლოვანი, პარაფინი, კვებრახის ექსტრაქტი, შვეიცარული ყველი, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს. სახ მეურნ. საბჭო, საფეიქრო და საპნის ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.). ცემენტი და ეტერნიტი, ქვა-მარილი ნახიჩ, სალომასი, „ხლებოპროდუქტ"-ის ნაწარმოები, მზესუმზირას ზეთი.

ბირჟის მოთხოვნილება.

შაბიამანი, რუს. მანუფაქტურა, მაკარონი და ვერმიშელი 1 და 2 ხარ., ყუბანის ფქვილი, სახურავი რკინა, ტეხნიკური ცხიმი, ხორბალი და პურეული, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, შაქარი ფხვნილი რუს., შაქარი რაფინადი, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ყუბანის საკონდიტერო ფქვილი, ასანთი, ქვა-მარილი ნახიჩევ., რკინის გასაყრელები, რელსები; ფოლადი (ფურცლოვანი) სპილენძის მილები, რკინეულობა.

ოფიციალური გარიგებანი.

ასანთი რუსული—15 მ. ათას კოლოფში. ფრანკო-სადგ. ტფილისი.

შაქარი ფხვილი რუს.—10 მ. 65 კ., რაფინადი ნატეხი—14 მ. 60 კ. და დახერხილი—14 მ. 70 კ. ფუთში, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ტყავი (ფეხსაცმელი ძირები)—12000 მან. თანხისა. ფრანკო-გამყიდველის საწყობი ტფილისში.

ყუბანის ფქვილი—2 მ. 80 კ. და 2 მ. 40 კ. ფუთში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

19 იანვარს ბირჟის გარეშე დადებულია 12 გარიგება, სულ 23038 ჩ. მან. თანხისა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცის კურსი, აგრეთვე უცხო ვალიუტა, შესამჩნევად ზევით იწევს.

ჩერვონცების და ამიერკავკასიის ბონების შეფარდება
(24 იანვარი.)

ჩერვ.	ბონით.	ჩერვ.	ბონით.
1 ქ.	—1.180.000,	60 ქ.	— 70.800.000
2 „	—2.360.000,	70 „	— 82.600.000
3 „	—3.540.000,	80 „	— 94 400.000
4 „	—4.720.000,	90 „	—106.200.000
5 „	—5.900.000,	1 მ.	—118.000.000
6 „	—7.080.000,	2 „	—236.000.000
7 „	—8.260.000,	3 „	—354.000.000
8 „	—9.440.000,	4 „	—472.000.000
9 „	—10.620.000,	5 „	—590.000.000
10 „	—11.800.000,	6 „	—708.000.000
20 „	—23.600.000,	7 „	—826.000.000
30 „	—35.400.000,	8 „	—944.000.000
40 „	—47.200.000,	9 „	—1062.000.000
50 „	—59.000.000,	1 ჩერ.	1180.000.000

საქონლის მანეთის ახალი კურსი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან.

აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1924 წ. 22 იანვრისთვის.

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1 მაისის დადგენილება № 52-ის საფუძველზე ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის ქვალობაზე ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ამა წლის 22 იანვრისათვის განისაზღვრება—2.080.000 000 მან.

ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვროს —208.000.000 მან.

შრომის სახალხო კომისარი— ა. მიქაძე
საქმეთა მმართველი— ლ. ქურდოვანიძე

საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა თათბირი

მესამე სხდომა

კრებას თავმჯდომარეობს ამხ. გ. საყვარელიძე.

სახელმწიფო კრედიტი და მევენახეობის უზრუნველყოფა ფინანსებით.

(მომხსენებელი ი. ანდრონიკაშვილი)

მომხსენებელს მოყავს რა ცნობები წინათ არსებულ სახელმწიფო და კერძო სას.-სამ. კრედიტის შესახებ, აღნიშნავს, რომ მისი ორგანიზაციის საქმე, ვერ იყო სასურველად მოგვარებული და სოფლის მუშამდი იგი ვერ აღწევდა.

ამ ჟამად განზრახულია გაიხსნას ტფილისში სას. სამ. ბანკი, რომლის უმთავრესი მიზანი იქნება სასოფლო მეურნეობისათვის თანხების მიწოდება სესხის სახით სხვადასხვა გაუმჯობესებათათვის. განზრახულ ბანკისათვის შემუშავებულ ნორმალურ წესდებაში, მისი აზრით, საჭიროა შეტანილ იქნეს ზოგიერთი შესწორებები:

1. გრძელვადიანი სესხის ვადა გადიდებულ უნდა იქნეს 5 წლიდან 8 წლამდე. 5 წელში ვენახი ვერ შესძლებს ვალის გადახდას, რადგან მხოლოდ მეოთხე წელიწადს იძლევა მოსავალს და ისიც ნაწილობრივს.

2. სარგებელი, რომელიც წესდებით 6 პროც. უდრის, უნდა შემოკლებულ იქნას.

3. მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია გაიხსნას ბანკის აგენტურები პროვინციის მსხვილ საწარმოო ცენტრებში, რომ გლეხს შესაძლებლობა ექნეს სესხის აღებისა.

4. უნდა გადიდებულ იქნას ძირითადი საკრედიტო თანხა, სპეციალური თანხების გამონახვით.

მოხსენების შემდეგ გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლით ირკვევა, რომ სოფლისათვის კრედიტის მიწოდების საქმეში, გარდა სახელმწიფო ორგანიზაციებისა, უნდა ჩაებას კოოპერატიული ორგანიზაციებიც აგრეთვე უნდა ამოძრავებულ იქნას თვით მეურნეები.

სასურველად იქნა ცნობილი აგრეთვე ნამყენი ვაზის მიწოდება სოფლისათვის ან სრულიად უფასოდ, ან გძელვადიანი სესხის სახით.

ამხ. გ. საყვარელიძემ აღნიშნა, რომ კოოპერაციას უკვე ზომები აქვს მიღებული მევენახეობის დასახმარებლათ, რისთვისაც მთავრობიდან გამოთხოვილ იქნა სპეციალური თანხები და რომ ამასთანავე მიღებულია ზომები კოოპერაციის მიერ უფასოდ ნამყენი ვაზის დარიგების შესახებ.

საბოლოო რეზოლიუციის შედგენას კრება ანდობს კომისიას, რომელიც იხელმძღვანელებს როგორც მომხსენებლის თეზისებით, ისე იმ დამატებებით, რაც შეტანილი იყო კამათის დროს.

კოოპერატიული და კოლექტიური მეურნეობა მევენახეობა მეღვინეობის დარგში.

(მომხსენებელი ალ. კარბელაშვილი)

მომხსენებელი მოკლე ცნობებს იძლევა იმის შესახებ, თუ რა გაკეთებულა სხვა ქვეყნებში კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ მევენახეობა-მეღვინეობის დარგებში. შემდეგ ვრცლად ეხება იმ ზომებს, რომლებიც ჩვენში უნდა გატარდეს ამ მხრივ. მისი აზრით კოოპერატიულ ორგანიზაციებს უნდა დაეკისრათ:

1. წარმოებაში საჭირო მასალების მიწოდება მეურნეებისათვის.

2. იაფ-ფასიანი და გრძელვადიანი კრედიტის მიწოდება.

3. ნაწარმოების გადამუშავების და გასაღების ორგანიზაცია.

კერძოთ ფილოქსერასთან ბრძოლის საქმეში საჭიროთ მიმაჩნია ნამყენი ვაზის მიწოდების საქმის ფართედ დაყენება. „კავშირთ-კავშირს", რომელიც ეხლა ფრიად მნიშვნელოვან და დიდ მუშაობას აწარმოებს ნამყენის მიწოდების საქმეში, უნდა ჩამოსცილდეს მეღვინეობის ფუნქციები და მარტო ნამყენის საქმეზე უნდა ამუშავდეს. საჭიროთ მიმაჩნია აგრეთვე ნამყენის წვრილი მწარმოებლების შეკავშირება კოოპერატიულ ნიადაგზე და კოოპერატიულ ორგანიზაციების შეკავშირება რაიონებათ და შემდეგ ერთ ცენტრში მათი თავის მოყრა.

კამათი

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მრავალმა ორატორმა მიიღო მონაწილეობა. პროფ. ტიმოფეევს საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ნამყენების გავრცელების საქმეს, რათა იმერეთის შეცდომები აღარ განმეორდეს.

დიდი კამათი გამოიწვია კერძო ინიციატივის დაშვების საქმემ ნამყენების გაკეთების საქმეში. თათბირის უმეტესობა იმ აზრის არის, რომ კერძო ინიციატივა დასაშვებია, მხოლოდ სასტიკი თვალყური უნდა ედევნოს, რომ ცუდი ნამყენები არ გაავრცელონ და სოფლის მეურნეები შეცდომაში არ შეიყვანონ.

რეზოლიუციის საბოლოო გამომუშავება მიენდო კომისიას, რომელიც მხედველობაში მიიღებს როგორც მომხსენებლის თეზისებს, ისე კამათში გამოთქმულ აზრებს.

შემდეგი სხდომა საღამოს, 17 იანვარს.

მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. პროფ. პ. მელიქიშვილი.

ა) რაიონებათ დაყოფა საქართველოს მევენახეობისა და სამრეწველო ყურძნის ჯიშების შერჩევა. ბ) სტატისტიკის საჭიროებები მევენახეობა-მეღვინეობის აღნუსხვისათვის.

(მომხსენებელი პროფ. ტიმოფეევი).

მომხსენებელი ჰყოფს მთელ საქართველოს მევენახეობის შემდეგ დამახასიათებელ რაიონებათ:

1. კახეთის (ყურძნის ჯიშებით—რქაწითელი, საფერავი, ნაწილობრივ მწვანე და სხვ).

2. იმერეთის (ციცკა, კრახუნა, ცოლიკოური და სხვ.).

ა. შულავერ-ბორჩალოს (ყურძნის ჯიშებით კახეთს ენათესავება).

4. აღმოსავლეთ ქართლის რაიონი (გორულა, ჭყაპა, ნაწილობრივ ალიგოტე და სხვ).

5. რაჭა-ლეჩხუმ-ქუთაისის (ალექსანდროული და სხვ).

6. გურია-სამეგრელო (ჩხავერი, ოჯალეში, იზაბელლა და სხვ).

ვრცლად ახასიათებს რა ამ რაიონებს, მომხსენებელი განმარტავს მეღვინეობა-მევენახეობის როლს ამ რაიონების ეკონომიურ ცხოვრებაში და მეღვინეობის სასურველ მიმართულებას; საჭიროთ მიაჩნია, რომ იმ რაიონებში, სადაც მევენახეობა უმთავრესი წყაროა სოფლის მუშების არსებობისა (კახეთი და იმერეთი), განსაკუთრებული ყურადღება ექნეს მიქცეული ამ დარგს. კერძოთ კახეთში მოწყობილ უნდა იქნეს ფილოქსერასთან ბრძოლის საქმე და იმერეთში—ღვინის გასაღების საკითხი.

მევენახეობის სტატისტიკის საქმეში მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია სასწრაფოდ გადამუშავებულ იქნას 1923 წლის აღწერის მასალები. საჭიროთ მიაჩნია აგრეთვე გლეხის მეურნეობის ბიუჯეტის გამოკვლევა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, მოხსენება მოწონებულ იქნა.

ვენახების დაზღვევა სეტყვისაგან.

(მომხსენებელი ა. გაჩნაძე).

მომხსენებელს მოყავს ცნობები ვენახების დაზღვევის შესახებ სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა დროს. შემდეგ გადადის რუსეთის სახელმწიფო დაზღვევის ორგანიზაციის (госстрах) მუშაობაზე, რომელსაც ჩვენშიაც აქვს თავისი განყოფილება. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დღემდე ამ ორგანიზაციას ვენახების დაზღვევისათვის მიღებული ჰქონდა 8 პროც. დასაზღვევი თანხიდან. ახალი პროექტით კი განზრახულია საქართველო 4 რაიონად დაიყოს სეტყვის საშიშროების მხრივ და დაზღვევისათვის შემოღებულ იქნას 5,5 პროც.—7,5 პროცენტამდე.

დაზღვევის საქმის გასაფართოებლათ და უკეთ მოსაწყობათ მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია:

1. კოლექტიური ფორმით დაზღვევის შემოღება (ამ შემთხვევაში მიღებულია 10 პროც. შეღავათი დაზღვევის პროცენტის რაოდენობიდან).

2. დაზღვევა სასურველია სწარმოებდეს სას. სამ. კოოპერატივების საშუალებით.

3. დამზღვევ ორგანიზაციას დაევალოს არა თუ მარტო დასაზღვევ თანხის გადახდა, არამედ ზომების მიღებაც სეტყვის თავიდან ასაცილებლად.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში უმთავრესად ორმა აზრმა იჩინა თავი. ერთნი (ანდრონიკაშვილი, რ. გედევანიშვილი და სხვა) მომხრენი არიან სავალდებულო დაზღვევის შემოღების. გ. რცხილაძე უპასუხებს მათ, რომ დღევანდელ პირობებში ეს მიუღებელია, რადგან ერთგვარი ზედმეტი ბეგარის სახით მოეჩვენება ეს ჩვენ სოფელს.

გ. საყვარელიძეს შესაძლებლათ მიაჩნია ჰაეროპლანებით ბრძოლის მოწყობა სეტყვასთან, რის შესახებაც კოოპერაციას ზომები უკვე ჰქონია მიღებული. ჰაეროპლანის შესანახავათ ძალიან მცირე თანხები იქნება საჭირო, რისი გადახდაც კოოპერატივებს უნდა დაეკისროთ.

კამათის შემდეგ მიღებულ იქნა მომხსენებლის მიერ წამოყენებული თეზისები ს. ჩოლოყაშვილისა და ცინცაბაძის დამატებით, რომ ეთხოვოს დამზღვევ ორგანიზაციას დაზღვევის პროც. დაკლებულ იქნას და გ. რცხილაძის დამატებით: ეთხოვოს მიწ.-მოქ. კომისარიატს სეტყვასთან მებრძოლ ახალი როტეს აპარატის შესახებ ცნობების შეკრება და მისი გამოცდა.

1905 წელი საქართველოში

(ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება განათლების მუშაკთა სახლში)

შაბათს, 19 იანვარს განათლების მუშაკთა სახლში ამხ. ფ. მახარაძემ წაიკითხა ლექცია 1905 წლის მოძრაობაზე საქართველოში. მოსალოდნელი იყო, რომ ლექცია მრავალრიცხოვან საზოგადოებას მიიზიდავდა, რადგან ლექტორად გამოდიოდა ძველი რევოლიუციონერი, რომელიც თვით იყო 1905 წლის ამბების თანდამხვდური და ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი.

მართლაც გან. მუშაკთა სახლის დარბაზი მსმენელებს ვერ იტევდა.

მომხსენებელი, ვიდრე თავის მოხსენების მთავარ თემას შეეხებოდა, მოკლე ისტორიულ მიმოხილვას აკეთებს ბატონ-ყმობის გაუქმებიდან რევოლიუციონური მოძრაობის დასაწყისამდე. იგი იძლევა სურათს ბატონ ყმობის გაუქმების შემდეგ შექმნილ ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობისას როგორც რუსეთში, ისე ჩვენში.

ახასიათებს, თუ როგორ მდგომარეობაში ჩავარდა ჩვენი გლეხობა, რომლის ყოფა-ცხოვრების საუკეთესო გამომხატველი ამ პერიოდში არის ეგ. ნინოშვილი. მიწის სივიწროვე, ნახევრად ბატონყმური ურთიერთობა, უსაღსრობა და ამასთან ერთად აუარებელი ბეგარა - გადასახადი — გლეხურ მასაში რევოლიუციონური მოძრაობის მთავარი მიზეზია.

მეორე მხრივ ნატურალური მეურნეობის თანდათანობითი რღვევა და კაპიტალიზმის ნელი განვითარება ჰქმნის ხელსაყრელ პირობებს მუშათა კლასის—ქალაქის პროლეტარიატის წარმოშობისათვის. ა | კ. რკინისგზის გაყვანა, ა | კ. მთავარ ცენტრებში ფაბრიკა-ქარხნების გახსნა და შიათურის შავიქვის მრეწველობის გაჩაღება უხვად იზიდავს სოფლებიდან გალატაკებულ გლეხობას, რომელიც პროლეტარდება არა მარტო ქონებრივად, არამედ იდეურადაც—ე. ი. იმსჭვალება კლასიურ პროლეტარულ შეგნებით და ორგანიზაციული უნარიანობით.

მუშათა კლასის წარმოშობასთან პარალლელურად და ამავე დროს მისგან დამოუკიდებლად ქართველ მოწინავე ახალგაზრდობაში ფეხს იკიდებს და ძლიერდება პროლეტარული მოძღვრება—მარქსიზმი, რომლის გასავრცელებლად ამ ხანებში ახალგაზრდა პროლეტარიატი მეტად ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მარქსისტულად განწყობილი ახალი თაობა მუშათა წრეებში მუშაობას დაიწყებდა, აქა-იქ უკვე იჩინა თავი მუშათა კლასის ორგანიზაციულმა გამოსვლებმა მწარმოებელთა და არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ.

ხოლო მას შემდეგ, რაც პროლეტარიატი ეცნობა ცხოვრების ახალ პირობებს, იძენს შესაფერ ცოდნას და პოლიტიკურად მწიფდება, არც ერთი საზოგადოებრივ—პოლიტიკური მოვლენა მის ყურადღების გარეშე არ რჩება, და რუსეთში გავლებული რევოლიუციონური მოძრაობის კვალი გამოხმაურებას პოულობს საქართველოშიაც: 90 წლებიდან 1903 წლამდე, განვლილი დრო, როგორც ჩვენში, ისე რუსეთში არის მუშათა კლასის დარაზმვის და მომზადების ხანა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ამ პერიოდში მთავრობის პოლიტიკას, რომლის მთავარი მიზანია შეაფერხოს და ჩაკლას გამოღვიძებული მასების რევოლიუციონური მოძრაობა იმ მოსაზრებით, რომ საზოგადოებრივი გულისყური აცდინოს ქვეყნის შიგნით გაბატონებულ უკულმართობას. იწყებს ომს იაპონიასთან. იმი, ააშკარავებს რა ბიუროკრატიული რეჟიმის სრულს უმწეობას და ჩამორჩენილობას, ყველა საზოგადოებრივი წრეების ამოძრავების და აღშფოთების მთავარი საბაბი ხდება. ამას ზედ ერთვის ომით გამოწვეული ეკონომიური კრიზისი და მუშების მატერიალური ჩამოქვეითება. იწყება აშკარა რევოლიუციონური მოძრაობა, რომლის მთავარ საბაბად ჩაითვლება სისხლიანი კვირა—9 იანვარი. შემდეგ მომხსენებელი მოკლედ აღნიშნავს რა, თუ როგორი მიმართულება მიიღო რუსეთის სხვადასხვა ცენტრებში რევოლიუციამ, იძლევა საქართველოს 1905 წლის რევოლიუციის სრულ სურათს, რომელიც თავის ორგანიზაციული ხასიათით იშვიათს მაგალითს წარმოადგენს. რევოლიუციონური მოძრაობის მთავარ ცენტრად საქართველოს ქალაქებში ხდება ტფილისი, ხოლო პროვინციებს შორის გურია, რომელნიც აძლევენ ტონს ა. | კ. ქალაქებს და კუთხეებს. აქ მომხსენებელი მოკლე ანალიზს უკეთებს იმ ტაქტიკას, რომელსაც დაადგენ ერთი მხრივ მენშევიკები და მეორე მხრივ ბოლშევიკები, და დაასკვნის თუ რა მიზანშეუფერებელი იყო მენშევიკების ზოგიერთი ნაბიჯები გამწვავებული ბრძოლის დროს, რომლის ცალკე ეპიზოდების შესახებ მოგონებას ამხ. მომხსენებელი უზიარებს მსმენელებს.

ლექცია იყო მეტად პოპულიარული, მეცნიერული მიუდგომლობით და კეთილსინდისიერებით წაკითხული, მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ მომხსენებელს ხანგრძლივი ოვაციები გაუმართა.

ქრონიკა

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** ორშაბათს, 28 იანვარს, ცენტრალური არქივის შენობაში (ყოფ. ოლღას ქ. № 48,) საღამოს 7 ნახ. საათზე მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიური კრება. კრებაზე დასწრება ყველას შეუძლიან.

— **კოოპერაცია.** ამ დღეებში გამოვა ჟურნალ „კოოპერაცია-"ს მეორე ნომერი იასონ გაბილაიას რედაქტორობით. სხვა მასალებს შორის ჟურნალში მოთავსებული იქნება პრ. შარლ ჟიდის და შ. რისტის „ეკონომიურ მოძრაობათა ისტორია".

— **ქ. აღმასკომის სავალდებულო დადგენილებათა კრებული.** ქ. აღმასკომმა გადასდო 1,100 მან. ქ. აღმასკომის სავალდებულო დადგენილებათა კრებულის გამოსაცემად.

— **ტრამვაის დირექტორი.** ქ. აღმასკომის დადგენილებით ტრამვაის დირექტორად 19 იანვრიდან დაინიშნა ამხ. ფარნიევი.

— **კუნძული ორთაჭალა.** ქ. აღმასკომმა ამხ. ბერიევს და კორძახიას დაავალა დაათვალიერონ კუნძულ ორთაჭალის ხიდი და შეიმუშაონ საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა. აგრეთვე გამოარკვიონ აღნიშნულ კუნძულზე მდებარე ძალების მოიჯარადრენი რა სახით მიიღებენ მონაწილეობას ხიდის შეკეთებაში.

— **კონტრაბანდი თუთუნი.** წინადადება მიეცა მილიციას მიიღოს სასტიკი ზომები კონტრაბანდი თამბაქოთი ვაჭრობის წინააღმდეგ.

— **გლეხთა სასახლე.** ქ. აღმასკომმა დაადგინა წინადადება მიეცეს „უქსს" გაანთავისუფლოს ყოფ. სასტუმრო „ბელვიუ"-ს შენობა და გადასცეს სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს შიგ გლეხთა სასახლის მოსაწყობად.

— **დახმარება უმუშევრებს.** შრომის ბირჟის დამზღვევი განყოფილება 25 იანვრიდან დახმარებას მისცემს საბჭოთა მოსამსახურეების სექციის დაზღვეულ უმუშევართ.

— **ჯანმრთელობის კომისარიატში.** ჯანმრთელობის კომისარიატმა ცირკულიარით აცნობა თავის განყოფილებებს, რომ პროვინციებში მყოფთ კერძო ექიმებს ეკრძალებათ დაკლული ხორცის ქალაქში ჩამოტანის შესახებ ნებართვის გაცემა.

— **შრომის ბირჟა.** 21 იანვარს, შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 138 უმუშევარი. ამავე დღეს ჩაეწერა 144 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა 36.

შემთხვევები.

— **ქურდი მოხ მსახური.** 18 იანვარს დღის 11 საათზე ბებუთოვის ქ. № 38 გაქურდული იქნა მოქ. ალექსანდრა ბერუჩოვას ბინა მისივე მოსამსახურე მოქ. მარუსია მოზაიავას მიერ. წიღებულია ზომების მის შესაპყრობათ.

— **ქურდობა.** 19 იანვარს ღამით მნაცაკანოვის აღმართი № 9 გაქურდული იქმნა მოქ. მატრონა ალექსის ასული აკოპოვას ბინა, საიდანაც წაღებულია 7 ჩერვ. ნივთები.

— **ქურდობა.** 19 იან. დილის 6 საათზე ტურგენევის ქ. № 4 გაქურდული იქნა მოქ. ბერტა სოლომონის ასული სალმანის სამზარეულო, წაღებულია საჭრძნობი თანხის სხვადასხვა ნივთები.

ხელოვნება

სახელმწიფო აკად. დრამა „სინათლე".

ორშაბათს, 21 იანვარს წარმოდგენილ იქნა ი. გედევანიშვილის პიესა —ზღაპარი—„სინათლე".

ამ პიესას იცნობს საზოგადოება ათი წლის განმავლობაში. ამიტომაც იყო, რომ ისე უთვალავად მოაწყდა ხალხი თეატრის კარებს. „სინათლე" არის სანახაობა: ჩვენებური, ხალისიანი, მუსიკალური და თანაც ფერადოვანი.

პიესა მთლიანად სახიბლავი ელფერისაა, მაგრამ მისი დადგმა კი ამ საღამოს ერთობ უფერული იყო.

პირველ ყოვლისა მსახიობებს ეტყობოდათ საერთო მოუმზადებლობა: თითოს—რაღაც ოციოდე სიტყვა აქვს სათქმელი და ერთი-ორის გარდა, თითქმის სულ ყველამ წაიბორძიკა რიგ-რიგით.

ფერია-ქალები თავიანთი გარეგნობითა და კეკლუცობებით ისევე ჰკავდენ ნამდვილ ფერიებს, როგორც პრასა მაისის ვარდსა. მეფის ამალას აკლდა გაწვრთნა. ამასთანავე ისეთ გაქუცულ სამოსელში იყვნენ გამოწყობილი, რაც უფრო შეეფერებოდა კუდაბზიკურის ამალას და არა მეფისას.

აჩრდილის სახით ვერ იყო შექმნილი ვეშაპის ილუზია.

ყოველი წვრილმანის ჩამოთვლა არ შეიძლება. საერთოდ ჩვენ თვალწინ გვიდგია შალიკაშვილისა და წუწუნავას მიერ წარმოდგენილი „სინათლე" და მათთან შედარებით 21 იანვრის წარმოდგენა ნამდვილი პროვინციალური იყო.

ჩვენ სამწუხაროდ მიგვაჩნია, რომ ის საყვედურები ყველაზე მეტად ეკუთვნის რეჟისორ კ. ანდრონიკაშვილს. იგი იმ რეჟისორთაგანია, რომელიც ერთობ შინაარსიანათ უცქერის ქართულ თეატრის საქმეს. არ გვინდა რომ მისი დადგმანი საძრახისად ჩაითვლებოდეს კრიტიკისათვის. ამიტომ მან უნდა თამამათ გამოიყენოს ყოველგვარი მხატვრული მეთოდები და მიღწევანი დღევანდელის თეატრისა, რომ ღირსეულად დააგვირგვინოს თავისი სალი შეხედულება ამ საქმეზე.

კერძოთ ჩამოთვლა ცალ-ცალკე მსახიობისა არა ღირს, რამდენიმეზე მაინც ითქმოდა „არაუშავდა რა". მაგრამ ესეთი დაფასება სახარბიელო არ იქნება არც ერთი მსახიობისთვის.

აქ მთელი ანსამბლი მოითხოვს ფრთების შებერტყას.

ლელი.

— **ალ. ყაზბეგის წიგნი.** დაიბეჭდა და გამოვიდა ალ. ყაზბეგის რჩეულ მოთხრობათა პირველი ტომი. წიგნს დართული აქვს ავტორის ბიოგრაფია, ორი სურათით და ივ. გომართელის კრიტიკული წერილი.

— **ტ. აბაშიძის იუბილე.** ტ. აბაშიძის იუბილე, მისი სასცენო ასპარეზზე 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად, გაიმართება 10 თებერვალს. დღესასწაულში მონაწილეობენ დამსახურებული მსახიობნი—ტასო აბაშიძის შობილები—მარიამ საფაროვ-აბაშიძისა და ვასო აბაშიძე.

— **საბავშვო წიგნი.** განათ. კომისარიატის სოც. აღზრდის მთავარ სამმართველომ დაადგინა გამოსცეს [illegible] ლექსთა და სურათებიანი კრებული: „გაზაფხული" წიგნი გამოვა ახლო ხანში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **პარტიული კლუბის გამგეობა** კვირას, 30 იანვარს, საღამოს 9 საათზე იწვევს პარტიულ კლუბში (კირკის ქ. მუშკოპის ბინა) ქვემოხსენებულ ამხანაგებს, 9 იანვრის აღსანიშნავ საღამოს საორგანიზაციო თათბირზე: სუტირინს, მედვედიევს, კურნას, კუდრიაშს, მიხ. იურინს, სანდრო ეულს, ზომლეთელს, კილოსანიძეს, მოლჩაოვს, ლეინს.

პარტიული კლუბის გამგეობის თავმჯდომარე მ. ესსენი.

პროფესიული.

განათლების მუშაკთა სახლში

— პარასკევს, 25 იანვარს, საღამოს 7 საათზე, სომხურ ენის მასწავლებელთა წრის კრება—ამხ. ხარაზოვას მოხსენება: „გრამატიკა სკოლაში".

— შაბათს 26 იანვარს, საღამოს 6 საათზე, პროფესორ ჯანელიძის მოხსენება: კონტინენტის და ოკეანის წარმოშობა ვეგენერის თეორიის მიხედვით.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე—შიუკაშვილი.

სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში.

— ხუთშაბათს, 24 იანვარს, საღამოს 7 საათზე, პოლიტგანათლებასთან არსებულ სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში (ალექსანდრეს ბაღი, პუშკინის ბიბლიოთეკა, მე-3 სართული) დანიშნულია სასკოლო სექციის კრება.

ამ კრებაზე პროფესორი გ. ნ. გეხტმანი წაიკითხავს მოხსენებას: „ეკონომიური გეოგრაფია და მისი სწავლების მეთოდები".

სასურველია დაესწრონ ამ კრებაზე ქ. ტფილისის ყველა მოზრდილთა სკოლების მასწავლებელნი.

განცხადებები

თავზარდაცემული დედა იულია დავითის ასული, და რუსუდანი, ძმები არჩილი, ირაკლი და დავით მიქელაძენი უზომო მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ მეგობართ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ძვირფასი

ელიზას

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათ. საკუთარ ბინაზე კადეტის ქუჩა, № 4. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 441 1—1

საქართველოს სასურსათო სახალხო კომისარიატის სალიკვიდაციო კომისია

აცხადებს, რომ ყოველგვარი პრეტენზიები დაწესებულებათა თუ კერძო პირთა ყოფილ სასურსათო კომისარიატის მიმართ მიიღება მხოლოდ 10 დღის განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ე. ი. ამ წლის 30 იანვრამდე.

428—3—3 სალიკვიდაციო კომისია.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობისა
რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა ყოველდღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
ღარიბებს უფასოთ. 25—16

ექიმი
კ. გ. ვართანოვი
სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 303—25—22

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ·არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—8

დავკარგე პირადობის მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოცემული და სამხედრო აღრიცხვის მოწმობა № 1415 მოცემული ტფილისის 1 უბნის კომისარიატის მიერ დავით ლეონტის ძე ქარაბაკის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 442 1—1



მიიღება ხელის მოწერა საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს ყოველდღიურ გაზეთ
„მუშაზე"

გაზეთი „მ უ შ ა" პირველ ყოვლისა მუშათა გაზეთია, ამიტომ რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ მას ფურცლებზე გადაშლილ და გაშუქებულ იქნეს ყოველივე ის, რაც მუშაკებს ჩვენს [illegible] თვის ყოველდღიურ ცხოვრებაში [illegible]

გაზეთი ყოველდღიურათ გამოვა ექვსი გვერდი

კვირაობით და განსაკუთრებულ შემთხვევების დროს კი რვა გვერდი

რას მისცემს გაზ. „მუშა" 1924 წლის განმავლობაში თავის წლიურ ხელმომწერლებს?

12 წიგნს საერთაშორისო და ადგილობრივ მუშათა მოძრაობის შესახებ.

6 წიგნი მოთხრობები, ლექსები. უპირატესათ ადგილი ექნება დათმობილი მუშა-მწერლების ნაწარმოებებს.

6 წიგნი ოჯახში საჭირო და გამოსადეგი ცნობები, თავის მოვლა, ბინის მოწყობა, ეზოში ბაღისა და ბოსტანის გაშენება და სხ.

6 დიდ სურათს: „პროლეტარული მელოდეში", „წითელი ყუმბარი სადარაჯოზე", „ლენინი ტრიბუნაზე" და სხვ.

სურათებს ძველი რევოლიუციონერებისას, სხვათა შორის ლადო ქეცხოველის ზაქრო ჩოდრიშვილის და სხ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სურათს.

საქართველოს და საბჭოთა კავშირის პროფესიონალურ კავშირების მეთაურთა და ბელადების სურათებს.

გაზეთი თვიურათ ღირს კოლექტიური ხელმოწერით 80 კაპ. [illegible]

[illegible]

„ზარია ვოსტოკას" სტამბა, სახ. წერეთლის ქუჩა № 4